140
959/3





დედას ვეტყვი—სურსათისთვის
არ გაგგზავნოს ამის მეტად.
ათიოდე ნაბიჯი რომ
გადაგექცა კილომეტრად.

ტრაბახობდი: ველოსიპედს
გავაფრენო ნიავ-ქარად:
შენზე ადრე ფეხით მივალ,
მომაწოდე ჩანთა ჩქარა!

ფოტო და ტექსტი
ზ. დათუაშვილისა

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

8

აგვისტო

1959

გამოცემის წელი XXXIII

7724

## შინაარსი



გვ.

სიმონ შამფრიანი—ბანაკის ერთი დღე (რეპორტაჟი) . . . . . . . . . . . . . . . . 2

ნოდარ შამანაძე—მასწავლებელი (ლექსი) . . . . 5

ვლადიმერ თორდუა—გულის შუქი (დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . . . . . 6

ამირან ჩხარტიშვილი—რა არის ანტიკური ხელოვნება (წერილი) . . . . . . . . . . . . . 13

ქეთევან ხახუტაშვილი—თამარისელი ბიჭი (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . . 14

მოგზაურთა დღიურები . . . . . . . . 16

როდიონ ქორქია—პარტბილეთი (მოთხრობა) . . 18

ბუნების კარი . . . . . . . . . . . . . 22

გიორგი ჯოჯუა—შევისწავლოთ ფოტო (წერილი) 23

ლადო სულაბერიძე—მთებისკენ (ლექსი) . . . . . 25

ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . 25

ვილიამ საროიანი—მწყემსის ქალიშვილი (მოთხრობა თარგმნა არჩილ დავითიანმა) . . . 26

ვახტანგ გორგანელი—ასეც ხდება (ლექსი) . . . 28

როლანდ ჩოჩიევი—წითელი კომუნარი (წერილი) 29

კალე ბობოხიძე—მოაგარაკე პიონერებთან (ლექსი) 30

დავით ცაგარელი—სიზანტე (ლექსი) . . . . . . 30

იცი თუ არა შენ? . . . . . . . . . . . 30

მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 31

გასართობი . . . . . . . . . . . . . . 32










გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე „ნავსადგურში“—ნახატი ნ. ახობაძისა, მეორე გვერდზე—ფოტოეტიუდი—ზ. დათუაშვილისა, მესამე გვერდზე—იუმორი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ჯ. ლოლუას, დ. ხახუტაშვილის, რ. ცუცქირიძის და მ. დაუშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი

საქართ. ბიბლიოთეკა თბილისი



განსაკუთრებული სიხარულით იკრიბე-ბიან პიონერები «ლენინის კარავთან».

შოლტივით მოქნეული, წყნეთის აღმართებს ადევნებული გზა მოტოროლერმა თხუთმეტიოდე წუთში დაფარა. ესეც ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის პიონერული ბანაკი... ვაშლისა და მსხლის. ნუშისა და რცხილის ხეთა შორის თეთრად ქათქათებენ კოხტად ნაგები კორპუსები. ბანაკს თავზე დაჰყურებს ქოჩორა ტყით შემოსილი, მაღლა აზიდული მთა; ქვემოთ მოაგარაკეთა კოტეჯები და ბაღჩა-ბაღებია. უფრო ქვე-

# ბანაკის ერთი დღე

მოთ კი, რუხ ფერდობებს შეფენილი დედაქალაქის უბნები და მწვანედ მოკამკამე «თბილისის ზღვა» მოჩანს.

საამურად ქღურტულებენ ტყეში ჩიტები, თავდავიწყებით სტვენენ მგალობელი ფრინველები. მხოლოდ ბანაკშია სრული სიჩუმე გამეფებული. ახალი გათენებულია და, აქ დასასვენებლად, სხეულის გასაკაჟებლად ამოსულ ნორჩებს ჯერ კიდევ სძინავთ ზაფხულის დილის უტკბილესი ძილით. საწოლი ოთახების ღია ფანჯრებიდან შეპარული სიო ფრთხილად დაჰფარფატებს მძინარეთა სახეებს. მშვიდად ფეთქავენ გულები, ხარბად სუნთქავენ ანკარა ჰაერს ჯანსაღი ფილტვები...

* * *

საყვირის ხმაზე ორასზე მეტი მოზარდი მკვირცხლად, ერთბაშად წამოიშალა საწოლებიდან. ძნელია მალე წაართვა თავი ძილის მათრობელ ბურანს. მაგრამ საბანაკო ცხოვრებას თავისი წესები აქვს და მობანაკე პიონერებიც ზუსტად იცავენ ამ წესებს: ადგომის დროა? — მაშასადამე, უნდა გაიღვიძო და სწრაფად წამოხტე ლოგინიდან, თუ არ გინდა მოადუნო შენი სხეული ზედმეტი ძილითა და ნებივრობით.

დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ, ცივი წყლით ხელ-პირ დაბანილი, ფაქიზად ჩაცმული და თმებდავარცხნილი პიონერები ხაზზე გამწკრივდნენ.

— რაზმი მზად არის დღის რეჟიმის შესასრულებლად! — პატაკს იძლევიან რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები. ნელ-ნელა აღიმართება ალამი. უფროსი პიონერხელმძღვანელი დღის რეჟიმს აცხადებს. პიონერები სასაუზმოდ მიდიან, რის შემდეგაც იწყება ბანაკის შინაარსიანი და მხიარული დღე.

* * *

— ნანა ზენაიშვილი! — გასძახის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი ნინო ნადირაშვილი ყვავილნართან მოფუსფუსე თეთრბაფთიან გოგონას, — თევზებს მიხედეთ?

— ახლავე, პატივცემულო ხელმძღვანელო! — მკვირცხლად მიუგო ნანამ და პიონერთა ოთახისკენ გაეშურა, მას მერი ტუღუშიც გაჰყვა თან. ორ აკვარიუმში პაწაწინა, ოქროსფერი თევზები დასრიალებენ. პატარები თავს დაჰხარიან მათ. ნანამ და მერიმ თევზებს წყალი გამოუცვალეს, საკვები მიაწოდეს. შემდეგ იქვე გალიაში თუთიყუშს მიეხმატკბილნენ, კარგად დააპურეს და კვლავ ამხანაგებისაკენ გამობრუნდნენ. ამხანაგები კი ისევ ყვავილნარს დასტრიალებენ. ზოგი ფერად-ფერად ყვავილებს რწყავს, ზოგი ნარგავების გარშემო მიწას თოხნის. სანამ მზე დააცხუნებს, უნდა მოასწრონ მცენარეებისათვის საჭირო წყლის მიწოდება და ძირების გამოწმენდა.

— ოი, როგორ დამსხვილებულა! მოდი, ერთი ნახე, ვანო! — ეუბნება ტარიელ წერეთელი ვანო თადიაშვილს და, ბოსტანში ჩაცუცქული, ირგვლივ ფრთხილად მაწაშემოცლილ ბოლოკზე უთითებს.

— მართლაც, როგორ დამსხვილებულა! — თვალები უბრწყინდება ვანოს. — მიაფარე, ბიჭო, მალე მიწა, მზემ არ დათუთქოს!

უხარიათ ყმაწვილებს: მათი ხელით დამუშავებულ ბოსტანში შესანიშნავად იხარა ბოლოკმა და წიწმატმა, ხახვმა და ნიორმა, ლაღად გართხმულან კიტრის ლერწებიც... რა სჯობია, როცა შენს მიერ მოყვანილი ბოსტნეული გაჩნდება სუფრაზე, რომელსაც სიამოვნებით მიირთმევენ შენივე ტოლები!

ბავშვების ერთი წყვილი პიონერულ ხაზთან ფუსფუსებს: აქ ცოცხალი ყვავილების კალენდარია — წელი, თვე და რიცხვი. პატარებსაც ახლა დღევანდელი რიცხვი გამოჰყავთ. იქვე კალენდრის წინ, ქორა აბგაროვს — შავტუხა ბიჭუნას — მიწაზე კენჭებისაგან უზარმაზარი ასოებით გამოჰყავს ლოზუნგი: «მშვიდობა მსოფლიოს!»



საამოდ ჟღერს ბანაკის ეზოში ინეზა ბოჭორიშვილის, ლალი ყამჩაძულის და მარო ხახუაშვილის მიერ საკრავზე დამღერებული მელოდიები.



უეცრად ჰაერში ნაცნობი ქართული მელოდია დაირხა. ეს — მოლზე ჩამომსხდარი გოგონების ერთი ჯგუფი ხმაშეწყობილად მღერის: «თბილისო, თბილისო, მზის და ვარდების ქალაქო...»

ხოლო ერთ-ერთ განმარტოებულ

ოთახში ამ დროს მე-5 რაზმელებს — ქორეოგრაფიული წრის წევრებს — ქართული ხალხური საკრავების ხმაზე გახურებული ცეკვა აქვთ გაჩაღებული. ერთმანეთს სცვლიან «ლაზური» და «ფერხული», «შეჯიბრი» და «ფარიკაობა». ელვის სისწრაფით დაჭქრიან წრეში ნორჩი მოცეკვავეები: ნუგზარ ნაკაიძე და თემურ მეფარიძე: დანარნარებენ მარო ხახვიაშვილი და თამარ მაჩაბელი... ქორეოგრაფიული წრე გულმოდგინედ ემზადება რკინიგზელის დღისათვის, როცა მან თავისი ხელოვნება მოსკოველ მაყურებლებს უნდა უჩვენოს. წრეს თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტი ამეცადინებს.

...მზე უკვე საკმაოდ ამაღლებულა. ბანაკში ჟრიამულით შემოცვივდნენ მეორე რაზმის წევრები. ისინი ტყეში იყვნენ საექსკურსიოდ წასული.

— აი, მე რა დავიჭირე! — იძახის სახეგაბრწყინებული გოგონა და დამხვდურ თანატოლებს ვეებერთელა პეპელას უჩვენებს, რომელსაც ფრთები არაჩვეულებრივად ლამაზი ფერებით აქვს მოხატული. არც სხვები ჩამორჩენიან ამ გოგონას. ზოგს სხვადასხვა მწერი აქვს ქაღალდში გამოხვეული, ზოგს ტყის ყვავილთა ჯიშები წამოუღია. ყველაფერი ეს კი პატარებს ჰერბარიუმისათვის უნდათ, რომელიც ბანაკის პიონერთა ოთახის მშვენებას წარმოადგენს.

გაისმის საყვირის ხმა და ყველანი, რიგებად დაწყობილნი, სასადილოსკენ მიემართებიან. სადილს «წყნარი საათი» მოსდევს, რის შემდეგაც კვლავ სიცოცხლის ხმებით ივსება აქაურობა.

* * *

ბანაკში მიმდინარეობს სპარტაკიადა, რაზმი რაზმს ეჯიბრება ბანაკის პირველობაზე სხვადასხვა სპორტულ სახეებში. გამარჯვებულთათვის დაწესებულია თასი და სიგელები.. ამას წინათ პიონერებს ლაშქრობა ჩაუტარებიათ სამადლოს მიდამოებში. დღეს კი ბანაკის ტერიტორიაზე ტარდება შეჯიბრი პიონერთა მრავალჭიდში: სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, სირბილში, ყუმბარის ტყორცნაში. ფრენბურთის მოედანზე თავგამოდებით იბრძვიან გამარჯვებისათვის: ზალიკო მეღვინეთუხუცესი, გენო ბერიევი, თამაზ ჩიხლაძე, ზურაბ ტოგონიძე...

ერთ-ერთ ფანჩატურქვეშ შაშში ერთმანეთს «შებმიან» ვანო თადიაშვილი და ავთანდილ ხაჟომია. შესანიშნავი კომბინაციებით ჩაატარა თამაში ვანომ და გამარჯვებული გამოვიდა ორთა ბრძოლიდან.

მეორე ფანჩატურთან ჭადრაკის თამაშია გაჩაღებული: ხოლო ზემოთ კი, ტანმაღალი ხის ტოტიდან ჩამოშვებულ ბაგირებზე, თავიანთი კუნთების გამძლეობას ცდიან ნორჩი სპორტსმენები. რამდენიმე ყმაწვილი პატარა მოედანზე ბურთის მიზანში მოხვედრაში ვარჯიშობს.

კვლავ საყვირი — სამხრობის დროაო.

ნასამხრალი პიონერები ახალი ენერგიით განაგრძობენ მეცადინეობას წრეებში. აი, ლიტერატურულ წრეში ვაჟა სტეფანოვი საკუთარ ლექსებს კითხულობს, მანანა ნიჟარაძე მხატვრულად კითხულობს ნაწყვეტებს სხვადასხვა მოთხრობებიდან. გულმოდგინედ მუშაობენ კედლის გაზეთების რედკოლეგიები: მზადდება «ბედნიერი თაობის», «რაზმეულის ხმისა» და «ნორჩი მეფრინველეს» მორიგი ნომრები.

შეუმჩნევლად შემოპარულა საღამოს ბინდი, ხეთა ჩრდილები უკვე აკრეფილან მიწიდან.

პიონერებმა უკვე ივახშმეს. შემდეგ ხაზზე დაეწყვნენ. ალამი ნელნელა ეშვება... დამთავრდა საბანაკო ცხოვრების ერთ-ერთი ჩვეულებრივი დღე. თანდათან მკვიდრდება სიჩუმე ბანაკის არემარეში. პიონერები დასაძინებლად ემზადებიან.

**ს. შამურიანი**

ფოტო **დ. იაკობაშვილისა**





სურათებზე: (ზემოთ) დილაადრიანადვე მიაშურებენ ბანაკელები მათი ხელით დარგულ ნერგებს და ბოსტნეულს. მოვლა-პატრონობას არ აკლებენ მათ.

(ქვემოთ): — ზურიკო, შენი ჭირიმე, მეც ამიშვი ერთი, რა! — ეხვეწება პატარა გურამი.

— ვერა, ბიჭო, ვერ აგიშვებ, მძიმე წონა ხარ და, რომ ჩამოვარდე?



# მასწავლებელი



ნოდარ მამანაძე

ნახ. მ. დაუშვილისა

შარშან ისევ შენთან იყვნენ,
მერხზე ისხდნენ მწკრივად,
გახარებდა, ფრთებს გასხამდა
მათი თვალთა ბრწყინვა.
დაამთავრეს — გაგიფრინდა
უკვე გუნდი მერცხლის;
დაგიტოვეს სიყვარულის
ჩაუმქრალი ცეცხლი.
ზოგი იყო მჯობნის-მჯობნი,
გულს ჩვდებოდა ვარდად,
კარგიც იყო, საშუალოც,
ცუდი არვინ ჩანდა...
გხვდება ქარხნის დირექტორი, —
მეგობარი ძველი,
ველარ მალავს აღტაცებას,
ჰყვება გაშლილ ხელით:
„ჰეი, ძმაო, რა შევსება
მომივიდა ამ წელს!
მათი გარჯა ქარხნის სახელს
კიდევ მაღლა ასწევს.
მუდამ ფეხზე ტრიალებენ,
ვეფხვებს გვანან მართლა,
სულ უეცრად აითვისეს
რთული დაზგის მართვა.
ქარხანაში კობა ჩოხელს
ყველა იცნობს ახლა,
ისე ბეჯითს, ისე მარჯვეს,
ახში ერთს თუ ნახავ...“
გული გიცემს აჩქარებით.
ფრინველივით ფრთას შლის:
კობა შენი აღზრდილია,
შენთან იყო კლასში...
გაგიღიმებს მეგობარი,
გიმეორებს ასჯერ:
„კიდევ ბევრი გაგეზარდოს
კობასავით გამრჯე!..“
ნაჩქარევად გადახედავ
ახალ გაზეთს გზაში,
შედგები და აღტაცებით
გსურს შემოჰკრა ტაში.
„ეს ხომ ჩემი აღზრდილია —
ლაცაბიძე ლალი!“
კითხულობ და გეკიდება
გულზე ლხენის ალი.
პირველ მერხზე იჯდა მუდამ —
ცელქი, აჩქარებული,
ბევრჯერ ძლიერ გაგახარა
ბევრჯერ გაგაჯავრა...
აი, ახლაც, სიხარულის
შუქი მოგაფრქვია:
თურმე სოფლად ყველას სჯობნის,
მოწინავე ჰქვია...
გადაკეცავ გაზეთს ლხენით,
მერე ისევ გაშლი,
გინდა ყველას მიახარო,
ვინც შეგხვდება გზაში!
გინდა ყველამ რომ გაიგოს,
ყველამ ნახოს თვალით,
თუ როგორი აღზრდილია
სასახელო ლალი.
თითქოს გამვლელ-გამომვლელიც
გიმეორებს ასჯერ:
„კიდევ ბევრი გაგეზარდოს
ლალისავით გამრჯე...“



მაგრამ ხვდები გულაღრენილ
მილიციის მუშაკს,
უგუნებოდ გესალმება
სახეს სევდით ღუშავს:
„სამწუხაროდ კიდევ გვყავანან
აღზრდილები ცუდად.,.
აგერ, ბადრი ბარამიძე
ხეტიალობს მუდამ,
დღეცისმარე ქუჩაშია,
უსაქმურად დადის...
არა! არა! ის არა ჰგავს,
ძმაო, შენგან აღზრდილს“.
ლამის ენა ჩაგივარდეს,
სდუმხარ, ბოლმა გავსებს:
„ბადრიც ჩემი აღზრდილია...“ —
მიბუტბუტებ გზაზე.

* *

განა ერთი, განა ორი! —
ყოველ მხარეს ჰყავანან,
ზოგი მარჯვობს ქარხანაში,
ზოგი უვლის ყანას,
ზოგი კაფავს ცოდნის ულრანს,
გულმოდგინედ სწავლობს,
აწვდის ყველა დაუშრობელ
სიხარულის წყაროს.
შენ კი რატომ შეარცხვინე,
რად უმტყუნე, ბადრი,
სიხარულით სავსე გულში
შეურიე დარდი.
მაგრამ არა! ჩაფიქრდები...
იმედი აქვს შენიც,
იქ დადგები, შენს კლასელებს
სადაც დგომა ჰშვენით.
კიდევ უფრო ძლიერს გახდი
მისი გულის ძგერას;
„ბადრიც ჩემი აღზრდილია!“ —
ლხენით იტყვის, მჯერა.

ვლადიმერ თორდუა

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულის შუქი*

(დოკუმენტური მოთხრობა)

## ნაწილი მეოთხე

### 1.

... რუშჩუკში რომ შევიდნენ, განცვიფრდნენ ჩვენი მზვერავები. ჰიტლერელების ას თორმეტი სხვადასხვა ტიპის სამხედრო გემი შეფარებოდა ამ ნავსადგურს. ოცდაცხრა ხომალდი და ტრალერი, სადესანტო კარჭაპი და სამხედრო ტრანსპორტი იმალებოდა ბულგარეთის ნავსადგურში—ასე იყრიან თავს პარკში, შუაღამისას, ტრამვაის ვაგონები. დაიძრა ნავსადგურისაკენ მთელი ქალაქის მოსახლეობა—ვინ ფეხით, ვინ ველოსიპედით; გარს ეხვეოდნენ ჩვენებს, კოცნიდნენ, მხრებში ანჯღრევდნენ და არ იცოდნენ რით გამოეხატათ სიხარული.

ოთარი, ზასელსკი, კოჩკინი—თითოეული თავ-თავისი ახალგაცნობილებით იყო გარშემორტყმული.

— ბოლგარ?—კითხა კოჩკინს ეს-ეს არის ველოსიპედიდან ჩამომხტარმა ოცი—ოცდაერთი წლის მაღალმა, ლამაზმა ქალიშვილმა და ცნობისმოყვარეობით ჩააცქერდა.

კოჩკინს ძალიანაც ეძნელებოდა ამ ლამაზი ქალიშვილის „გაწბილება", მაგრამ ხომ ვერ მოატყუებდა!

— არა!—თავის ქნევით უპასუხა კოჩკინმა და სინანულით შეხედა, ვაი თუ მოკლე შეიქნეს ამის გამო ჩვენი ახლო ყოფნაო. სამწუხარო ის იყო, რომ ის ლამაზი ქალიშვილიც იდგა დაბნეული, რაღაც აღელვებული, და ხმას არ იღებდა—რუსული არ იცოდა.

— ჰკითხე...—მიუბრუნდა იგი უცებ მასთან ერთად ველოსიპედით მოსულს, ჩანდა ბევრად უფროსს, მაგრამ მშვენიერი სახის ქალს,—ჰკითხე და სთხოვე სიმართლე თქვას—სად შეგვეძლო ჩვენ აქამდე შევხვედროდით ერთმანეთს?

უფროსმა ქალმა უთარგმნა კოჩკინს-ეს სიტყვები.

— ჰკითხეთ, ჩვენში თუ ნამყოფი?—მიმართა კოჩკინმა თარჯიმანს.

— არაო,—უთარგმნიდა იგი ლამაზი ქალიშვილის ნათქვამს,—აბა, საიდან! ვიზრდებოდი რუშჩუკში, ვსწავლობდი სოფიაში, სხვა ქვეყნები არ ვიციო...

— აბა, სოფია მე ვიცი,—თქვა კოჩკინმა და ახლა მას გადმოედო მღელვარება, რომელიც, ეტყობოდა, ქალიშვილს სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა.

— სთხოვე არ მომატყუოს, სინდისი დააფიცე, ჩემი ცნობისმოყვარეობა აბუჩად არ აიგდოს.—მერე ჩააშტერდა თვალებში, მზერა გადაჰქონდა მის შუბლზე, თმაზე, ნიკაპზე, ლოყებზე; ზომავდა თვალით თავიდან ფეხებამდე და სულ უფრო ნათელი ეფინებოდა მის ლამაზ სახეს.

— ჰკითხე, თამაშობს?

როცა კოჩკინმა, განცვიფრებულმა და დაბნეულმა, უთხრა მშვენიერი სახის თარჯიმანს—ვთამაშობ, თავდამსხმელი ვარ გუნდშიო (სწორედ—„ვარო" და არა „ვიყავიო"), ქალიშვილს თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა, გულს მოწოლილი ბუნდოვანი მოგონების ამოხსნით გათავისუფლდა, იგი ნაზად მიეყრდნო მეგობარ ქალს, ხელები ყელზე შემოხვია ისე, რომ მოღიმარი წყლიანი თვალები კოჩკინისთვის არ მოუშორებია და ნელი ხმით წასჩურჩულა:

— ეს კაცი იყო, სოფიაში მოსკოვის ნაკრები რომ გვეწვია, გახსოვს? ჩვენ, კალათბურთელმა ქალიშვილებმა მათ მატჩის დასაწყისში თაიგულები მივართვით. მე ეს შემხვდა... და თაიგული მას მივაწოდე.

— თქვენთვის მას...—დაიწყო კისკისით თარჯიმანმა და სცადა თავი გაეთავისუფლებია მეგობრის ხელებიდან—თქვენთვის მას თაიგ...

— ნუ, ნუ, არ გინდა, არ გინდა!..—დაუშალა ლამაზმა ქალიშვილმა და ხელი ტუჩებზე მიაფარა.

— აჰა! ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, უკვე გააბი?..

ნაცნობ ხმაზე მხედრულად მოტრიალდა კოჩკინი, კინაღამ დაავიწყდა, რომ ქუდი არ ეხურა, ხელის აღებას აპირებდა.

— გისმენთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

მის წინ იდგა იაბლონსკი, თავისი ბუნებრივი მკაცრი გამომეტყველების წინააღმდეგ ახლა ლურჯი, დიდი თვალებით მოღიმარი, ალერსიანი და უფრო ლამაზი... იმ დღეს პირველად აღინიშნა მისი გვარი უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში რუშჩუკის დაკავებასთან დაკავშირებით.

— ჩემთან, შტაბში!—უთხრა კოჩკინს და წავიდა. მას უმალ მიჰყვნენ კოჩკინი და იაბლონსკის ადიუტანტი.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, კოჩკინმა იგრძნო, რაღაც ძალზე ძვირფასი რჩებოდა აქ. შედგა. მოიხედა. ისინი იდგნენ, სახეზე ღიმილგაცივებულნი.

— რა იყო აქ დასამალი?—თითქმის ბრაზმორევით ჰკითხა მშვენიერმა თარჯიმანმა.

— არ ვიცი, მე თვითონ არ ვიცი!—უგუნებოდ უპასუხა ლამაზმა.—მეგონა მოვასწრებდი, მერე-მეთქი, ვიფიქრე...

---

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № № 5, 6 და 7.

— მერე! — დასცინა მშვენიერმა. — ხომ ხედავ, ომია, ყველაფერი სწრაფია!

...სულ სხვანაირი შეხვედრა ჰქონდა ოთარს.

ვიღაცამ უკნიდან ორივე ხელი თვალებზე ააფარა. „ბაგრიცკი ხომ არ არის? იქნებ შჩოლკაა?“ — ფიქრობდა იგი. — მაგრამ, რომ შევცდე და სხვა გვარი ვთქვა, ეწყინება იმას, ვინც სინამდვილეში აღმოჩნდება, მე კიდეც დავვიწყებივართ“.

ოთარი მაჯაში ჩააფრინდა „გამოცანას“ და ცდილობდა მოეცილებია. „გამოცანამ“ აუშვა ხელები, მოატრიალა ოთარი და ღონივრად მიიკრა მკერდზე, თან ბურტყუნებდა: „ოჰ, შენა ხარ? შენა ხარ? აბა შემომხედე, კარგად დაგინახო, მთელი ხარ? გაზრდილხარ!“ — და ისევ იკრავდა გულში.

— ვოვა, ვალოდია! — იძახდა ოთარი და მძლავრად ხვევდა ხელებს. — სად შევხვდით, ხედავ?

ვოვა შჩერბაკოვი ოთარის მეგობარი იყო ფოთის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლიდან. ახლა მათ უყურებდა ყველა, მატროსებიც ღელავდნენ ამ შეხვედრით.

— რა ამბებია ფოთში? — ჰკითხა ოთარმა. შჩერბაკოვს გაეცინა და ოთარი მიხვდა, რომ ეს შეკითხვა უადგილო იყო. მის გონებაში დრო და მანძილი როგორღაც უცებ შეიკუმშა, მას რატომღაც ეგონა, რომ შჩერბაკოვი ეს-ეს არის მოცურდა პირდაპირ ფოთიდან.

ახლა ოთარის გონებაში ცოცხლდებოდა შჩერბაკოვთან ფოთში უკანასკნელი განშორების სურათი:

...სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი ფოთში. გამოშვება. კურსდამთავრებულთა გამანაწილებელი უკანასკნელი საექიმო კომისია...

— გინახავთ ასეთი, ამხანაგებო? — განცვიფრებით წამოიძახა ახალგაზრდა ექიმმა, გვარად ციბულკომ, რომელიღაც ჰოსპიტლიდან მოწვეულმა, გადახედა კომისიის წევრებს და ხელი გაიშვირა სპირომეტრისაკენ.

სპირომეტრი „5.500-ს“ უჩვენებდა. ეს თვით პროფესიონალი მცურავი სპორტსმენებისთვისაც სანატრელი მაჩვენებელია.

სასწავლებლის უფროსი, ჭაღარა პოლკოვნიკი, სამოქალაქო ომში მიღებული წითელი დროშის ორდენით მკერდზე, მივიდა, სპირომეტრის სკალას დააკვირდა და კომისიის მდივანს გასძახა:

— დასვით ნიშანი!

და მდივანმა ქალმაც ყველაფრისადმი თავისი გულგრილობის წინააღმდეგ, მხრები აიჩეჩა, თავი გააქნია და სათანადო გრაფის გასწვრივ დაწერა პირობითი ნიშანი — „A. A.“.

ეს ფილტვების უდიდეს სასიცოცხლო მოცულობას გამოხატავდა.

— უძლიერესთა ჯგუფში! — გაუზიარა თავისი აზრი პოლკოვნიკმა კომისიის წევრებს.

— შჩერბაკოვი? შჩერბაკოვი თუ ხვდება ჩემს ჯგუფში? — გაბედა პოლკოვნიკთან მიახლოვება ოთარმა. — ის ძალიან მაგარია ფიზიკურად.

— თქვენ მეგობრები ხართ? — ჰკითხა კასილოვმა. ოთარმა თავი დაუქნია, დასტურის ნიშნად. — აბა, მაშ, შენ არტილერისტი იქნები. ის — მეკატერე, და თქვენ ერთმანეთს დაუჭერთ მხარს... სადაც არ უნდა იყოთ, თქვენ მაინც ერთად იქნებით. ხომ ასეა?

ოთარს არაფერი რჩებოდა სათქმელი პოლკოვნიკის სიტყვების შემდეგ. ხედავდა, რომ სკოლის საუკეთესო ამხანაგს შორდებოდა. სწრაფად ჩაიცვა და კარისაკენ გაემართა.

— მაგარი ყმაწვილია! — ჩაილაპარაკა კასილოვმა.



რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, კოჩკინმა მოიხედა: ისინი იდგნენ, სახეზე ღიმილგაცივებულნი,



— აი, ჩვენ ვიმყოფებით აქ,—და ოთარს მაგიდაზე დაფენილ რუკაზე რუშჩუკი მოუხაზა.

ციბულკომ ალერსიანი თვალები გააყოლა ოთარს, მერე მდივან ქალს მიუბრუნდა და კითხა:

— არის კიდევ?

... შემდეგ ცხოვრებამ ათასჯერ დაადასტურა ის, რითაც ოთარმა ასე განაცვიფრა საექიმო კომისია— არაჩვეულებრივი ფიზიკური გამძლეობა.

2.

ვიდრე ოთარი ფოთელ მეგობრებთან რუშჩუკში ამ მოულოდნელი შეხვედრის და ამასთან დაკავშირებული მოგონებების ტკბილ წუთებს განიცდიდა, იქ იაბლონსკის შტაბში მასზე მსჯელობდნენ...

— გაიცანით!—თქვა იაბლონსკიმ, როცა კოჩკინი ოთახში შევიდა.

იაბლონსკი თავდახრილი იდგა მაგიდასთან და რუკას დასჩერებოდა. მისი „გაიცანით!" ეხებოდა კოჩკინს და იმ უცნობ ოფიცერს, რომელიც კოჩკინს შტაბში დახვდა. ეს ისე თქვა იაბლონსკიმ, რომ მათკენ არც გაუხედავს, მაგრამ წინ წადგმულმა სამწყობრო ნაბიჯებმა, ქუსლების ერთდროულმა და ერთის მჟექარე „უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი!" და მეორის ტემბრიანმა „კაპიტან-ლეიტენანტი ზოლოტოვი!"— ხმებმა თავი უნებლიედააწევინა პოდპოლკოვნიკს.

პირველი ფიქრი, რაც მათმა შეხედვამ აღუძრა პოდპოლკოვნიკს, ეს იყო:—„ეჰ, ახალგაზრდობავ, ოქროს ასაკო!" და საოცრად მოეწონა ეს ორი ოფიცერი.

—ბრძანებაა ფლოტილიის სარდლობისა, გორშკოვისაგან,—დაიწყო იაბლონსკიმ და მძიმედ გაიარა ოთახში, — გაირკვეს დანაღმული ადგილები დუნაიზე რუშჩუკიდან კორაბიამდე.—შეჩერდა, ოდნავ წინ წამოწეულ მუცელზე ხელები შემოიწყო, ჯერ ზოლოტოვისაკენ გადაიქნია თავი და მერე მიუბრუნდა კოჩკინს,—გვთხოვს სამ კაცს.. თქვენი აზრი?

კოჩკინს გააჟრჟოლა. ეს ყველაზე მძიმე დავალება იყო, რაც თავისი ხელქვეითებისათვის ოდესმე მიუცია, და სწორედ იმიტომ, რომ ეს შეუმჩნეველი ყოფილიყო, სწრაფად უპასუხა:

— ბოიჩაკი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ერთი...

— ვიცი. კარგია.—თქვა იაბლონსკიმ და მაგიდას მიუჯდა.

„ბორზიკი დაჭრილია. არც ჰოსპიტალში მიდის, არც ამ საქმეს არგია, სმირნოვი კონტუზებულია...— ითვლიდა თავის გულში კოჩკინი.—პანფეროვი..."

— საჭიროა სამი!—მოაგონა იაბლონსკიმ.

— მიტიუშკინი!—უცებ გამოასწორა კოჩკინმა პაუზა, — „პანფეროვი მოუხეშავი ვინმეა, შემარცხვენს ამ კაც-

თან“—განაგრძობდა თავის გულში კოჩკინი თვლას.— და... ჩხეიძე, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

— ეგ რომელია?—იკითხა იაბლონსკიმ.

— ლონიას რომ ვეძახით, მოხალისე თბილისიდან, ამხანაგო...

— მე რატომ არ მახსოვს! — გააწყვეტინა იაბლონსკიმ.

— დნესტრის გმირი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, და აი, ბოლოს, გენერალ ტრონიეს „კამპანიის" მონაწილე...

— ა—ა—... ვიცი.— იაბლონსკი წამოდგა და ოთახში გაიარა.—ყმაწვილია მაინც მეტად...

— უნივერსალია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — არ დააცალა კოჩკინმა, როცა ნახა, რომ იაბლონსკის სახეს ღიმილი მოეფინა ტრონიეს მოგონებაზე,ˮ და თამამად დაუმატა: — უნივერსალია ხმელეთზეც, წყალზეც, წყალშიც...

ზოლოტოვს ესმოდა ეს გვარები და ყველა მათგანზე თავისებური წარმოდგენა ექმნებოდა. მას ხომ მათთან ერთად მოუწევდა არაერთხელ ჩაეხედნა სიკვდილისათვის თვალებში.

— მიჰგვარეთ ისინი ამხანაგ ზოლოტოვს თავის რეზიდენციაში!—თქვა ბოლოს იაბლონსკიმ, აუდიენცია დამთავრებულად ჩათვალა, დაემშვიდობა ოფიცრებს და კვლავ თავის რუკებში ჩაეფლო.

რუკაზე, წინ, შეტევის ისრები ბელგრადისაკენ იყო მიმართული.

* * *

— დაჯექი,—უთხრა ზოლოტოვმა, როცა მას ოთარი წარუდგა.—ნაღმებთან მეგობრობ?

— მქონია შემთხვევები, ამხანაგო მეთაურო!

— მაშინ ასე: ჩვენი ამოცანაა... აი, ჩვენ ვიმყოფებით აქ,—და ოთარს მაგიდაზე დაფენილ რუკაზე მოუხაზა რუშჩუკი.—აი აქედან,—გააყოლა ფანქრის წვერი დუნაის ზემოდინებას,—აქამდე უნდა გაინაღმოს. ეს კორაბიაა. მანძილი—ას ოთხმოცი კილომეტრია. გერმანელმა უთვალავი ნაღმი ჩააწყო უკან დახევისას, რომ ჩვენი ჯარების წინსვლა შეაფერხოს, რათა სული მოითქვას და გამაგრდეს... უპირველესყოვლისა საჭიროა ნაღმების განლაგების შესწავლა, მისი რუკაზე შეტანა. ამასვე—კორაბიადან ტურნუ-სევერინამდე — მესამე რანგის კაპიტანი რეზვანცოვი აკეთებს...

ზოლოტოვი ისე ლაპარაკობდა, როგორც უფროს მეთაურთან მოხსენებისას—ძუნწად, სამხედრო სიზუსტით.

ოთარს მოეწონა ეს ოფიცერი. ხედავდა მასში ნებისყოფიან მეთაურს. ზოლოტოვი იყო საშუალო ტანის, ჩამკვრივებული, მაღალი შუბლით, ქერათმიანი, დიდი, ცისფერი თვალებით, კოხტა, სწორი ევროპული ცხვირით. იგი შავ ზღვაზე მეთაურობდა მტრის გემებზე მონადირე კატერების რაზმს და მის საბრძოლო ანგარიშზე მრავალი გმირობა იყო. ჯერ კიდევ ომამდე დაემთავრებინა ფრუნზეს სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი.

* * *

მონიტორ „ქერჩს“ კურსი ეჭირა ნავსადგურ ტურნუ-სევერინისაკენ. ტურნუ-მეგურელეს რაიონში მის შემოსვლას წინ უძღოდა მეტად რთული საჰაერო ინციდენტი: გერმანელთა სამი თვითმფრინავი შემოიჭრა ჩვენების ზონაში და რამდენიმე ადგილას ტრალერით დუნაიში საზღვაო ნაღმები ჩაუშვა. ისედაც უთვალავ ნაღმებს ახლა ეს ახლებიც ემატებოდა და გზას უღობავდა ხომალდებს.

მეორე შემოვლას აკეთებდნენ მტრის თვითმფრინავები, რომ მაიორ ბასოვის საზენიტო არტილერიის დივიზიონმა ტურნუ-მეგურელედან და ნავსადგურ ნიკოპოლიდან ურაგანული ცეცხლი გახსნა.

ზოლოტოვი, შტურმანი კამერფელდი, მოტორისტი გრიშა გრიგოროვიჩი, ვანია ბოიჩაკი,ˮ ვოვა მიტიუშკინი და ჩხეიძე დუნაის მიარღვევდნენ სანაღმო კატერით. ოთარი ტყვიამფრქვევთან იყო ჩაწოლილი. ნაღმებს რომ ტრალერით ამოაგდებდნენ, კატერი ფრთხილად და სწრაფად სცილდებოდა საკმაო მანძილზე ნაღმების ველს. ოთარს ამ დროს ამოგდებული ნაღმებისათვის ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი უნდა დაეშინა. ასე აფეთქებდნენ და აუვნებლებდნენ ნაღმებს თვალთ სიკვდილისათვის თვალებში მაცქერალნი.

ერთხელ კიდევ პიკირებით დაეშვა დუნაიზე მტრის თვითმფრინავი და ჩამოუშვა ნაღმები, მაგრამ ახლა ადრე ჩაწყობილი ნაღმების კვადრატულად განლაგებულ ქილებს წააწყდა. ისეთი აფეთქების ხმა გაისმა, რომ აკვანივით დაირწა დუნაი. ცხვირით ჩაეშვა აბობოქრებულ მდინარეში და სვასტიკიანი კუდი აიპრიხა ფაშისტის თვითმფრინავმა. იქიდან ცოცხალი არავინ უნახავთ გამოსული. ერთი თვითმფრინავი კარგა ხანია მიმალულიყო, ხოლო მეორეს, ბასოვის მეზენიტეთა ცეცხლის ბადეში გახვეულს, უკვე არსაით ჰქონდა გზა. იგი დაზიანებულიყო, ზრიალითა და სტვენა-კივილით დაეშვა დუნაიზე. ორი წუთიც არ გასულიყო, რომ გაიშალა რეზვინის ნავები და დადგა თვითმფრინავი შუაგულ წყალში, უიმედო და განწირული.

— დავატყვევოთ ეკიპაჟი! — გასცა განკარგულება ზოლოტოვმა,—სრული სვლით, წინ, თვითმფრინავისაკენ! ჩხეიძე, გატენე დისკო, მოიმარჯვე ტყვიამფრქვევი!

კამერფელდს დიდი სიფრთხილით და თან სწრაფად მიჰყავდა კატერი, რომ დანაღმულ ველს გასცლოდა, მაგრამ ცოტას გასცურავდა და კატერი კვლავ ახალ საშიშ ველს უახლოვდებოდა. ახლა კატერმა დიდი სისწრაფით აიღო კურსი ნაღმიანი „ველის“ მარჯვნივ, მაგრამ უკან რაღაც წყლის ძლიერი აფეთქების ხმა მოისმა. აფეთქების ტალღამ ორჯერ შეაგდო კატერი. მაგრამ სვლის სისწრაფემ იხსნა იგი ლითონის ნამსხვრევების ჩანჩქერისაგან. ზოლოტოვი მოხირხებულ წუთს



ერთხელ კიდევ პიკირებით დაეშვა დუნაიზე მტრის თვითმფრინავი..

არ ჰკარგავდა, რუკაზე შეჰქონდა ნაღმიანი ველები, უფრო მეტი დაძაბულობით და ფრთხილი მანევრირებით მიარღვევდა გზას კატერი. სულ მარჯვნივ და მარჯვნივ იღებდა კურსს. ახლა მეორე საფრთხე შეექმნა ეკიპაჟს — კატერი მეჩეჩზე დაჯდა.

— გაიზომოს წყლის სიღრმე!—ბრძანა ზოლოტოვმა.

ჩხეიძეს არც დაუცდია მეთაურის ბოლო სიტყვისათვის, მიუშვა ტყვიამფრქვევთან მიტიუშკინი, თვითონ სწრაფად ტანთ გაიძრო და ჩაეშვა დუნაიში.

შემოდგომა იყო. ცივი დუნაი კანს უსუსხავდა და ნემსებივით ჩხვლეტდა. ოდნავ მარცხნივ შეიძლებოდა საჭის მობრუნება, და კატერიც მეჩეჩიდან გასული იყო. ასეც მოხდა.

როცა კატერი თვითმფრინავს მიუახლოვდა, ზოლოტოვის ხალხს არ დასჭირებია მიემართა იარაღისათვის... ფაშისტები თავდახრილნი ამობობღდნენ კატერზე.

კატერი ჯერ ნელი სვლით მიდიოდა ნაპირ-ნაპირ. მარცხნივ დიდი, გაუვალი ლელიანი შრიალებდა.

— ამხანაგო. კაპიტან - ლეიტენანტო! — წამოიძახა ოთარმა.—თვალი თუ არ მატყუებს, ლელიანში რაღაც ირწევა!

ზოლოტოვმა იქითკენ გაიხედა, ბინოკლი მოიმარჯვა და ისე, რომ ბინოკლი თვალიდან არ მოუცილებია, გასცა განკარგულება კატერი ლელიანისაკენ დაეძრათ.

გერმანელების შვიდი კატერი, კარგად შენიღბული, ნელა ირწეოდა დუნაის ტალღებში.

— აი, ნაპოვნი! მშვიდად და უბრძოლველად ნაპოვნი! აი ჩვენი შრომის კარგი გასამრჯელო!—ბუტბუტებდა გახარებული ზოლოტოვი.

ეს სასიხარულო ამბავი სწრაფად ეცნობა ვიცე-ადმირალ გორშკოვს. ეს შვიდი კატერი მერე, სვასტიკაჩამორეცხილი და ჩვენი გემოვნებით შეღებილი, ჩაება ბრძოლაში და მტრის ხელით აშენებულები მტერსვე ურტყამდნენ უმოწყალოდ.

* * *

მაგრამ ჩვენ ცოტა წინ გავუსწარით ამბავს. როცა ზოლოტოვი თავის რეზიდენციაში დაბრუნდა — გემ „დომენიკა ფლორიდას“ გემბანზე აქოშინებული, მთლად ოფლში გაწურული საზღვაო ოფიცერი ამოვარდა, ჩანდა მეკავშირე იყო, მხედრულად გამოეჭიმა ზოლოტოვს.

— თბომავალ „წმიდა ანადან“... ვიცე-ადმირალ გორშკოვისგან!—მკაცრად დაატანა ოფიცერმა და გადააწოდა დიდი დალუქული პაკეტი. — ჩააბარეთ სადიკოვს, მისი მონიტორი „ქერჩი“ ხვალ გაივლის თქვენს ნავსადგურს.

ზოლოტოვს ჟრჟოლამ დაუარა ამ სიტყვებზე, როგორც ყოველთვის ხელქვეითს სამხედროში, როცა დიდი უფროსისაგან მოელის რაიმე დავალებას. „ეს იოლი სამსახურია“,—გაიფიქრა მან, — სწრაფად გამოართვა პაკეტი, მისცა სამხედრო სალამი ოფიცერს და მჭექარე ხმით მიუგო:

— არის, გადავცე პაკეტი მონიტორ „ქერჩის“ კაპიტან სადიკოვს.

მაგრამ იმ ღამეს ამოვარდა და მთელი მეორე დღის განმავლობაში ბობოქრობდა ისეთი ქარიშხალი, რომ დუნაი რაღაც საზარელ სტიქიად იქცა. ქარი სცელავდა და აწვენდა ყველაფერს. უზარმაზარი ტალღები ეხეთქებოდნენ ღუზაჩაშვებულ ხომალდებს, კარჭაპები და კატერები ვერ გადიოდნენ რეიდზე. მონიტორმა „ქერჩმა“ ნავსადგურ ტურნუ-მეგურელეს ზევით, ათამდე კილომეტრზე ჩაუშვა ღუზა.

საიდუმლო პაკეტი, რომელშიც ფლოტილიის სარდლობის ბრძანება იყო, შეუფერხებლივ უნდა გადასცემოდა ადრესატს, დუნაიზე გასვლა კი ახლა გარდუვალ დაღუპვას ნიშნავდა.

„ამ დავალებას ვერავის ვანდობ!—გაიფიქრა ზოლოტოვმა,—მე თვით უნდა ჩავაბარო!“—არწივებო!—შესძახა მერე მან და თვალი გადაავლო თავის მჭვერავებს...

გრიგოროვიჩი და ჩხეიძე მეთაურის შეძახილზე მხედრულად შემობრუნდნენ და „სმენაზე“ დადგნენ.

... პატარა ნახევარგლისერში დიდმნიშვნელოვანი პაკეტით ჩაჯდნენ სამნი: ზოლოტოვი, გრიგოროვიჩი და ჩხეიძე. ოთარი საჭესთან დაჯდა, გრიგოროვიჩი მოტორს დასტრიალებდა, ზოლოტოვი წინ გასცქეროდა, წამდაუწუმ უხდებოდა ოთარს მანევრირება. ტალღები ეხეთქებოდა კატერს და გეგონებოდათ აი, სადაცაა გადაპირქვავდება და შთანთქავს ბობოქარი დუნაის უფსკრულიო. ძლიერი ქარი სუნთქვას უკრავდა ეკიპაჟს. ვერ ასწრებდნენ გლისერში ტალღებისაგან შემოსხმული წყლის გადაქაჩვას.

ორი კილომეტრიღა რჩებოდა მონიტორამდე, საჭის

გვარლი რომ გაწყდა. ქარმა ნაფოტივით წაიღო უმართავი გლისერი მარჯვენა ნაპირისაკენ, რომელიც ნაღმებისაგან არ იყო გაწმენდილი. მამაცი ეკიპაჟი სიკვდილს ჩასცქეროდა თვალებში.

— ვმართოთ გლისერი კიჩოს მეშვეობით, სათადარიგო საჭით! მოიტაპ ხის ბერკეტი, მესაჭევ, მარცხნივ! მესაჭევ, მარჯვნივ! — წამდაუწუმ იძლეოდა ზოლოტოვი განკარგულებებს. ოთარი ხან მარჯვნივ მიაბრუნებდა ბერკეტით საჭეს, ხან მარცხნივ. სამი მეზღვაური თავგანწირვით ებრძოდა ქარსა და ტალღებს.

გლისერი რომ მონიტორს მიუახლოვდა, ამ უკანასკნელის მთელი ეკიპაჟი გემბანზე გამოეფინა, განცვიფრებული შესცქეროდა ყველა სამი მამაცი მეზღვაურის თავგანწირულ ბრძოლას სტიქიასთან. ძალზე ძნელდებოდა მიცურვა მონიტორთან, რადგან დიდ ტალღას შეეძლო ხის ნახევარგლისერი გემის ფოლადის კედელზე მიემსხვრია. აქაც ზოლოტოვმა მონიტორის მთელი ეკიპაჟის და მისი მეთაურის განსაცვიფრებლად უჩვენა გლისერის მართვის ოსტატობა. ჩხეიძესა და გრიგოროვიჩს ძალა ელეოდათ, მაგრამ ზოლოტოვთან ერთად, უკანასკნელი ენერგიის მოკრებით, გლისერი უვნებლად მიაცურეს მონიტორთან.

... მალე მონიტორი „ქერჩი“ სადიკოვის მეთაურობით დაიძრა ზოლოტოვის მიერ გადაცემული პაკეტით ნაჩვენებ გზაზე — დიდი საბრძოლო დავალების გზაზე.

ქარი ნელ-ნელა ჩადგა. ბობოქრობით დაქანცული დუნაი ყუჩდებოდა.

3.

ნავსადგურ ტურნუ-მეგურელეში ზოლოტოვს „დომენიკა ფლორიდაზე“, რომელიც ძალიან ლამაზად იყო მორთული, ეწვივნენ ოთარისათვის უცნობი ოფიცრები და კიდევ რამდენიმე მეზღვაური. ისინი მოცურდნენ უცნაური, უცხო კატერით.

ზოლოტოვმა ისინი გულთბილად მიიღო, მიიწვია სალონში, და გაიმართა საუბარი, გამოკითხეს ერთმანეთს ამბები. სტუმარი ოფიცერი, რომელიც ახალმოსულთა მეთაური იყო, აღმოჩნდა გვარად კალგანოვი, ვიქტორ ანდრიას ძე, ზოლოტოვის მეგობარი ომის დასაწყისიდან. ის თურმე საფლაგმანო დაზვერვას მეთაურობდა. საფლაგმანო დაზვერვაზე ლაპარაკი რომ ჩამოვარდა, ოთარმა ყურები ცქვიტა. ეს მისი სტიქია იყო მუდამ მისკენ მიისწრაფოდა ეს ზოლოტოვმაც იცოდა. ამიტომ დიდი პატივით წარუდგინა ზოლოტოვმა იგი კალგანოვს. ოთარის თხოვნა, მიეცა მიმართულება კალგანოვის საფლამანგო დაზვერვაში სამსახურისათვის, ზოლოტოვმა მხოლოდ მაშინ შეასრულა, როცა მისი კონტროლის ზონაში — ტურნუ-მეგურელეს რაიონში — დუნაის განაღმვა მთლიანად დამთავრდა.

როცა ოთარი კალგანოვის მიერ მიცემული ერთ-ერთი მძიმე დავალებიდან ბრუნდებოდა, ქალაქ ტურნუ-მეგურელეში შენიშნა, — ჩვენი მეზღვაურები შეჯგუფულიყვნენ და ცხარედ ბაასობდნენ. ამასთანავე ყური მოკრა იაბლონსკის გვარს.

— გამარჯობათ, ძმებო! — მიუახლოვდა მათ ოთარი, — ნაცნობი გვარი მომესმა და მოვედი თქვენთან. მე იაბლონსკის რაზმში მიბრძოლია. ცუდი ხომ არაფერია?

ოთარი ატყობდა, რომ მასთან გამოსაუბრების თავი არავის ჰქონდა, ყველას რაღაც ბოღმა აწვა გულზე. მაგრამ ოთარი ფეხს არ იცვლიდა, თვალებს აცეცებდა, იქნებ ვინმეს რამე წამოსცდეს და საქმის ვითარებაში გავერკვეო. ერთმა შეატყო ეს, გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ცუდი ამბავი მოხდა მის რაზმში. ნაღმზე მოჰყვა დესანტი. დავაწვინეთ ზოგი აქ, — თავი გადაიქნია ბაღში განმარტოებით მდგარი დიდი შენობისაკენ, — ჰოსპიტალში...

ოთარი მოწყდა ადგილს და გაეშურა ჰოსპიტლისაკენ.

ვისაც ფრონტის ზონის ჰოსპიტალი უნახავს, ახსოვს ალბათ, თუ რა ჯოჯოხეთური ამბები დულს სიკვდილ-სიცოცხლის შერკინების ამ პატარა ქალაქში.

სანიტრებს ტაშტებით, ვედროებით, ხელით გამოჰქონდათ სისხლში მოსვრილი ნაგლეჯები ადამიანის სხე-



დიდი სიფრთხილით, სწრაფად მიჰყავდათ კატერი.

ულისა, შეჭყავდათ საკაცეებით ახალი დაჭრილები, მკვნესარენი და, მაშასადამე, საიმედონი, გატრუნულნი, გაცრეცილნი, მილეულნი, ქაღალდის ფერისანი და, მაშასადამე, მძიმე მდგომარეობაში მყოფნი, ან განწირულნი... დარბოდნენ, დაფუსფუსებდნენ ექიმები, ექთანები, სანიტრები, მკაცრნი და მომთხოვნი, ამ წუთში სხვა არაფრის მცოდნენი და სხვა არავისი მცნობელნი, გარდა თავიანთი პირდაპირი მოვალეობისა, გარდა იმ ადამიანებისა, რომელთა ბედიც მათზე იყო მინდობილი.

საღი ადამიანები საველე ჰოსპიტალში ნაკლებ პატივში არიან, მით უფრო, როცა ისინი მნახველებად მოდიან.

— დააბოტებენ, ღმერთო ჩემო, ვინ იცის როგორ!

— აქეთ გავლა არ შეიძლება, გეუბნებიან!

ესმის ოთარს უკმეხი, უხეში სიტყვები სანიტრებისა და საქმეში თავმიცემული ექთანებისაგან. ყველგან, ყოველ ნაბიჯზე გზას უღობავენ მას. ის კი ყოველ გზის გადამღობს ხან მუქარით, ხან მუდარით ეკითხება:

— იაბლონსკის დესანტიდან ნაღმზე მოხვედრილი მეზღვაურები სადა წვანან, გეთაყვა...

და აი, იგი პალატაშია.

— ბოიჩაკ! ვანია!...

ბოიჩაკი მძიმედ იბრუნებს თავს ამ ხმისაკენ. სახე გაცრეცია, გალევია, პასუხის თავი არა აქვს.



მძინარე, ფერმკრთალი, ისედაც პატარა კატია, ლოგინში მთლად ბავშვად წარმოუდგა ოთარს.

— ბოიჩაკ, შენგან კი არ მოველოდი, რა მოგივიდა!

და ოთარი დაიხარა ბოიჩაკის საწოლთან.

— კარგია, რომ ნაღმებს არ წავწყდომივარ...— ძლივს გასაგონად ამბობს ბოიჩაკი,—ბრმად არ მომსვლია. ბრძოლის მეორე დღეს, ყუმბარით, ჩემო ლეონიდ...

და მერე ბოიჩაკი მიმქრალი ხმით მოჰყვა:

— ბელგრადის მისადგომებთან დუნაის გაღმა ასამდე კაცი გადაგვსხეს. ვინც ახალჩაწყობილ ნაღმებს გადავურჩით, თავდაცვა დავიკავეთ მაშველი ძალის მოსვლამდე. მტერს ერთი დღე-ღამე ვუძლებდით, მეორეზე, გამთენიისას, ყუმბარისაგან აი, ეს მომივიდა...— ბოიჩაკმა მძიმედ წაიღო ხელი ქვევით, საბნისაკენ და აცახცახებულმა საბანი გვერდზე გადასწია. ბინტების სქელი ფენა გამოჩნდა. ცალი ფეხი მუხლზევიდან აღარ იყო.

— ... პირველ ჭრილობას, თავში მიღებულს, რომ უხვევდა, მეორედ გასკდა ყუმბარა,—თავისი ამბავი მოთავებულად ჩათვალა ბოიჩაკმა და ახალი დაიწყო.

— ვინ უხვევდა, კიდევ ვინ დაიჭრა!—ველარ მოითმინა ოთარმა.

— მეორე ყუმბარა საბედისწერო შეიქნა,—განაგრძობდა ბოიჩაკი თავის მოთხრობას, არც კი ესმოდა ოთარის შეკითხვები,—ზასელსკიმ სამუდამოდ დახუჭა თვალი და სული დალია კატიას მკლავზე. თვითონ კატიაც ნაღმის ნამსხვრევმა მკლავში დაჭრა, აქა წევს.

ოთარს ზედიზედ ატყდებოდა მწუხარება მწუხარებაზე და არ იცოდა რომელ ერთზე შეეჩერებინა გრძნობა და ფიქრი.

... ქალთა პალატა პატარა იყო, ხუთი—ექვსი საწოლით. მსუბუქი დაჭრილები იწვნენ. კატია ყველაზე მძიმე დაჭრილად ითვლებოდა მათ შორის — იდაყვს ზევით ძვალში გაევლო ყუმბარის ნამსხვრევს. დაუკვნესავად გადაჰქონდა საშინელი ტკივილი. ახლა მისძინებოდა. მისი საწოლი ფანჯარასთან იდგა. ლოგინს შემოდგომის მკრთალი მზის სხივები დასციმციმებდნენ.

იდგა ოთარი ამ საწოლთან თავდახრილი, დასცქეროდა ფრონტელ დობილს, აგონდებოდა მასთან პირველი შეხვედრა, მერე აკერმანთან ბრძოლა და მისი



მზრუნველი სიტყვები: „ჰა, მომჭიდე კისერზე ხელი, ჩქარა!“ და თავისი პასუხი: „სხვა დროს, კატია, ახლა მე თვითონ!..“

მძინარე, ფერმკრთალი, ისედაც პატარა კატია ლოგინში მთლად ბავშვად წარმოუდგა ოთარს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ვპასუხობთ მკითხველს

# რა არის ანტიკური ხელოვნება?

თქვენი ჟურნალის გასული წლის უკანასკნელ ნომერში ალბათ ბევრმა თქვენგანმა ნახა, მკლავებმომსხვრეული, მაგრამ სილამაზით მაინც უბადლო, ვენერა მილოსელის ქანდაკება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქანდაკებას მკლავები არა აქვს, იგი ადამიანის სხეულის იდეალური სილამაზის განსახიერება. მოქანდაკის ჯადოსნურ საჭრისს, თითქოს ხორცი შეუსხამსო მარმარილოსათვის, ისეთი ცოცხალი და მიმზიდველია თითოეული ნაკვთი.

ამ ქანდაკების შესახებ ამბობენ ხოლმე: ანტიკური ხელოვნების ძეგლიაო. სიტყვა «ანტიკური» ლათინურია და პირდაპირი მნიშვნელობით ძველს ნიშნავს, ხოლო ტერმინი: «ანტიკური ხელოვნება» ძველი საბერძნეთისა და რომის ხელოვნებას გულისხმობს.

საბერძნეთი და რომი ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე ადრე გამოვიდნენ პირველყოფილი თემური წყობილებიდან. პირველყოფილი თემური წყობილების რღვევას თან ახლდა ქალაქების წარმოშობა, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება. ყველაფერმა ამან განაპირობა ძველი საბერძნეთისა და რომის ხელოვნების აყვავება, რაც საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა და ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში დამთავრდა.

დროთა განმავლობაში, მრავალ შინაგან და გარეშე მიზეზთა და მოვლენათა გამო, საბერძნეთი და რომის სახელმწიფოები თანდათან დასუსტდნენ. 476 წელს კი ჩრდილოეთის ტომების შემოსევამ საბოლოოდ დაამხო უკანასკნელი ანტიკური ქვეყანა—რომის იმპერია.

ამის შემდეგ ანტიკური ხელოვნება აღარ განვითარებულა. დროთა მსვლელობაში ანტიკური ხელოვნების ძეგლთა დიდი ნაწილი განადგურდა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ანტიკურ ძეგლთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გარდა ბევრი შესანიშნავი ქანდაკებისა, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ჰომეროსის «ილიადა»-ს თემაზე შექმნილი სამფიგურიანი ქანდაკება, «ლაოკოონი», «ბადროს მტყორცნელი», «გამარჯვებული მეომრის თავი» და სხვ. ანტიკურმა ხელოვნებამ კაცობრიობას მრავალი უბადლო ნაგებობა დაუტოვა, მაგალითად: პირველი საუკუნის ძეგლი, რომის კოლიზეუმი, აკროპოლი, და სხვა მრავალი. ჩვენი დღევანდელი სტადიონები სწორედ რომაელების სანახაობათა შენობების მსგავსად არის აგებული; ანტიკურმა თეატრებმა თავისი კომედიებითა და ტრაგედიებით დასაბამი მისცეს ჩვენს დღევანდელ თეატრს.

ანტიკურმა ხელოვნებამ უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო ხელოვნების, კერძოდ, აღორძინების ხანას ე. წ. რენესანსის ხელოვნების განვითარებაზე.

ა. ჩხარგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგზაურთა დღიურები

ეს იყო 13 ივნისის დილა. ზურგჩანთებით, საძილე ტომრებით დატვირთული ნორჩები უთენია თბილისის რკინიგზის სადგურთან შეიკრიბნენ. ჟრიამულით აავსეს სადგურის დარბაზები. ეს ხალისი შეჰყვათ მატარებლის ვაგონებშიც. მაღალი, თმაშევერცხლილი ქალი ჩამდგარა პატარებში. მის ყოველ სიტყვას სულგანაბული უსმენენ პიონერები. ეს ალექსანდრა ჯაფარიძეა — საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი ქალი. იგი დღეს ბორჯომის ხეობაში მიჰყვება პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის წევრებს, ნორჩ ტურისტებს. ფანჯარასთან მიმდგარ ტურისტს ალპინისტი დენეზა გოზალიშვილი უჩვენებს სვეტიცხოველს, ჯვრის მონასტერს, უფლისციხეს... რამდენი საინტერესო რამ მოელით წინ, გზაზე, პიონერებს! ამ თორმეტდღიანი ლაშქრობის მიზანიც ეს არის: უკეთ გაეცნონ სამშობლო მხარეს, მის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ბუნებას; სადაც მიუწვდებათ, ფეხით დაიარონ ეს ადგილები. რა სჯობს ცხრაწყაროდან მზის ამოსვლის ცქერას, ბაკურიანის წიწვნარებში სიარულს, ვარძიის ქვაბებში გზის კვლევას, ალპური ყვავილების კრეფას, მინერალური წყლებისა და წყაროების შესმას. ჰოდა, ორმოცი მოლაშქრე არ შეუშინდა გზის სიძნელეს, წვიმასა და ქარს. ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, მეგობრებო, ამ ლაშქრობის შესახებ, მაგრამ დაე, თვითონ მოლაშქრეებს მოვუსმინოთ — მათ ხომ თბილისში შთაბეჭდილებებით სავსე რვეულები, საველე გაზეთები ჩამოიტანეს. ვინ ლექსი მიუძღვნა ბორჯომის ხეობასა და ვარძიას, ვინ ჩანახატები წამოიღო სახსოვრად. წუხდნენ მეგობრები, რომ ფოტოაფსკზე ვერ აღბეჭდეს თავიანთი ხალისიანი დღეების ეპიზოდები. მაგრამ აქ უცებ 42-ე სკოლის მეოთხეკლასელმა — ვასიკო კანდელაკმა გამოიჩინა თავი. თურმე, ვასიკოს თავისი პატარა ფოტოაპარატი წამოეღო თან და, ამრიგად, მოლაშქრეებს გული არც ამაზე დაწყვეტიათ. აქ დაბეჭდილი სურათებიც სწორედ ვასიკოს ოსტატობაა.

## ვარძიის კლდეებში

16 ივნისი. რამდენი რამ გამიგია ვარძიაზე! თუნდაც ლეგენდა მისი სახელის შესახებ: ბავშვობისას. თამარ დედოფალს გზა აბნევია ვარძიის გამოქვაბულში და მძებნელთა ყვირილზე ასე უპასუხია — აქა ვარ ძიაო. რა სიხარულით მივდიოდი ვარძიის დასათვალიერებლად! გოგაშენის დაქანებულ გზიდან დავეშვით ვარძიისაკენ. ეს გზა ამიტომ ავირჩიეთ, რომ მთელ მანძილზე გავყურებდით ამ კლდეში ნაკვეთი ქალაქის ხედს. არც დაგვნანებია ცხრა კილომეტრის ფეხით გავლა. დღემდე ვარძიაში 630—650 გამოქვაბულია აღდგენილი. დიდი ინტერესი გამოიწვია წყლის გვირაბმა. აქედან თურმე წყალს იმარაგებდა ციხის მოსახლეობა. მისი სიმაღლე 2 მეტრია, სიგანე 1,5 მეტრი. ვარძიის გამოქვაბულებში არის საჯინიბოები, მარნები, თამარ მეფის საწოლი ოთახი, სამეფო დარბაზი და მრავალი საი-





სოფელი ტაბაწყური ნახევარკუნძულივი-
თაა შეჭრილი ტაბაწყურის ტბაში.



დუმლო გვირაბი. სიამოვნებით შევ-სვით წყალი წყაროდან, რომელიც მხოლოდ 1955 წელს აღმოაჩინეს. ვარძიიდან დავეშვით. მაგრამ სხვა რამეც გველოდა საინტერესო. იქნებ თქვენ არც კი გაგიგიათ სოფელი ჭაჭკარი. იგი მტკვრის ულამაზეს ხე-ობაშია. ჭაჭკარი პატარა მუზეუმს მოაგონებს ადამიანს: კლდეებში შედგმული, ბანიანი, ძველი ქართუ-ლი დარბაზებით. აქ განსაკუთრებით ხუციშვილების დარბაზი მოგვეწონა, მისი გვირგვინი. აი, თურმე, როგორ სახლებს აგებდნენ წინათ ქართველე-ბი! ერთხელ კიდევ ავხედეთ ვარძი-ას—ამ ზღაპრულ ციხე-ქალაქს. მენა-ნებოდა, მაგრამ მაინც ჩავიწერე დღი-ურში „ნახვამდის ვარძია!“

**ნოდარ სუმბაძე,**

1-ლი საშ. სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

## ტაბაწყურზე

14 ივნისი. დილის 7 საათსა და 30 წუთზე გავიღვიძეთ. ჩავატარეთ დილის დაჭურვა, ვისაუზმეთ და ბა-ნაკის სამი მესამედი ტაბაწყურისაკენ დაიძრა. უფრო პატარები ბაკურიან-ში დავტოვეთ. გულდაწყვეტილი გვიმზერდნენ პატარები, მაგრამ მათი ამ გზაზე წაყვანა არ შეიძლებოდა. მიხვეულ-მოხვეულ გზას მანქანა მა-ინც სწრაფად მიჰყვებოდა, თანდა-თან ზევით ავდიოდით, გზის ერთი მხრიდან კლდე გადმოგვყურებს, მე-ორე მხარეს კი ხევი მოსდევს. აი, მოსახვევი. „14 კილომეტრი ტაბა-წყურამდე“—აწერია სვეტს. ეს თურ-მე ცხრაწყაროს გადასასვლელია. ამ-ბობენ,—მისი სიმაღლე ზღვის დონი-დან 2400 მეტრია. ქვევით ვეშვებით. ველებზე ცხვარი გაფენილა. რა ლა-მაზია ტბა ტაბაწყური. ტბაში ნახე-ვარკუნძულივით შეჭრილა სოფე-ლი ტაბაწყური. უპირველეს ყოვლისა „თევზკომბინატი“ დავათვალიერეთ. ტაბაწყურის ტბაში სამი სახეობის ძვირფას თევზს ამრავლებენ, მათ შორის ქართულ კალმახს. თურმე ნუ იტყვით, ინკუბატორი თევზებსაც ჰქონიათ, სადაც ქვირითიდან უამრავი ლიფსიტა იჩეკება. გავედით სოფელ ტაბაწყურში. ვნახეთ რამდენიმე მი-წური სახლი. უკან დაბრუნებისას, ცხრაწყაროს გადასასვლელიდან ერ-თხელ კიდევ გადავხედეთ ღრუბლებ-ში გახვეულ მთავარ კავკასიონს... აქედან 14 კილომეტრი უნდა გაგ-ვევლო ფეხით. ჩვენც გავყევით მთებ-ში დაკლაკნილ ბილიკს. გვიან, ყვავი-ლებით დატვირთულნი დავუბრუნ-დით ბაზასა და საძილე ტომრებს.

**დათო ბაქანიძე,**

61-ე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე.

## კოხტა გორა

მეგონა, უფროსი ამხანაგები მეც წამიყვანდნენ ტაბაწყურში. დილა-ადრიან გამოვიღვიძე, მაგრამ მოვ-ტყუვდი. მე და რამდენიმე ჩემი ამხანაგი ბაკურიანის სათხილამურო ბაზაში დაგვტოვეს. გული რომ არ დაგვწყვეტოდა დეიდა ალექსანდრამ კოხტა გორაზე აგვიყვანა. გავიარეთ 25 მეტრიანი ტრამპლინი, შემდეგ ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეები. დაიწყო აღმართი. აღმართზე ასვლა ისე გაგვიჭირდა, რომ ზოგმა თქვა შუა გზაში გავჩერდეთო. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ. კოხტა გორიდან გადმოვიხედეთ. ნახევარი ბაკურიანი მოჩანდა აქედან: დამსვე-ნებელთა სახლები, მელიების ფერმა, ლამაზი სადგური. გემრიელი იყო სა-უზმე კოხტა გორაზე. დავეშვით ქვე-ვით, ბაზისაკენ. გზაზე ფიჩხი შევა-გროვეთ სამხრის მოსამზადებლად. იმ დღეს ისე ვისიამოვნეთ, რომ ტა-ბაწყურზე წასულთა ბედი აღარ შეგვშურებია

**სალომე ჯანდიერი,**

61-ე სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე.

## სოფელი ანდეზიტი

მანქანამ მხოლოდ ერთი კილომეტ-რი გვატარა, მერე კი 5 კილომეტრი ფეხით გავიარეთ სოფელ ანდეზი-ტამდე. გაჩაღებული მუშაობა იყო ანდეზიტის საბადოებში. ჩვენ ვნახეთ როგორ ამტვრევდნენ ანდეზიტის ქვას, როგორ ფქავდნენ შემდეგ ამ ქვას. უფროსებმა აგვიხსნეს, რომ ანდეზიტის ქვას დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ მრეწველობაში, მშენებ-ლობაში. ანდეზიტის ქვა ცეცხლგამ-ძლეა. მისგან ნაირ-ნაირ ფორმებს ასხამენ და საბჭოთა კავშირის მრა-ვალ მხარეში გზავნიან.

**ნანა ნასარიძე,**

42-ე სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე.

ნაძვნარში ჩაიმუხლეს ანდეზიტისაკენ მიმავალმა მოგზაურებმა.

ბევრი რამ საინტერესო უამბეს ნორჩ მოგზაურებს ტაბაწყურის თევზის მეურ-ნეობის მუშაკებმა.

ფოტოები 42-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლის ვასიკო კანდელაკისა.

# თამარისელი ბიჭი

გაიანემ მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა. მალიმალ გადახედავდა შვილის საწოლს და ფიქრობდა — ამდენს რა ატრიალებს ნეტავი, რატომ არ იძინებსო. ომარს კი ამ დროს თავისი საფიქრალი ჰქონდა: ეშინოდა, ძილმა თავი არ წამართვას და დილა არ გამეპაროსო. ადრიანად წამოდგა და, კარადაში შენახული პარკი რომ ადგილზე არ დაუხვდა, შეწუხდა.

— ბიჭო, რას აიკელი აქაურობა, არც ძილი იცი და არც მოსვენება, რა არის, შვილო, რას დაეძებ ამ დილაადრიანად,—შეეხმაურა დედა.

— რას ვეძებ და... წუხელ რომ პარკი ამოვკერე, სად გადამიკარგეთ. სულ მაგ ქაჯის ბრალია, მაგას ექირა ხელში!—და თან პატარა მედიკოს წყრომით გადახედა. გოგონა მიხვდა, თავზე საბანი წაიხურა და ჩუმად გამოსძახა:

— ომარ, აი, კიდობანშია, თოჯინას თავზე დავახურე...

— ოჰ, შენ და შენი თოჯინა! — გამოაჯავრა ომარმა და კარი გაიხურა. ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა გრძელი შარა და მეორე უბანში ჯოყოლას შესძახა—ჩქარაო. მალე ორი მეგობარი თამარისის ჰალებისაკენ დაეშვა. უკან დარჩათ ნაჭარხლევის მინდორი, თავლების ნაკვეთსაც გასცდნენ და ჰალაში ყლორტებაყრილ თუთის ხეს კენწეროში მოექცნენ. ერთმანეთს უსიტყვოდ გასჯიბრებოდნენ, რომელი მეტსა და კარგ ფოთოლს მოჰკრეფდა. პარკები რომ გაავსეს, ომარმა ჯოყოლას გადაულაპარაკა: აბა, ახლა სკოლისაკენ მოვუსვათ, სკოლაში არ დაგვაგვიანდესო.

ისინი ერთმანეთს ბუერა ვერხვთან დაშორდნენ.

ომარმა სახლში შეირბინა, საჩქაროდ ისაუზმა, მერე წიგნები გადაათვალიერა. ერთ ხელში ჩანთა აიღლიავა, მეორეში თუთის ფოთლით სავსე პარკი და სკოლისაკენ მოჰკურცხლა. ქვის საფეხურები სულმოუთქმელად აირბინა და მაშინვე პიონერთა ოთახს მიაშურა. კარები დაკეტილი დაუხვდა... ესიამოვნა, ყველას მოვასწარიო, სანამ ისინი მოვლენ, ყველა რგოლის ჭიას ვაჭმევ და იმ ზარმაცებს დილით ადრე ადგომას შევაჩვევო. ომარმა გამოტრიალება ვერც კი მოასწრო, რომ ბებია ანეტამ დილა მშვიდობისა უსურვა და გასაღები მიაწოდა. კარები სწრაფად გაალო, წიგნების ჩანთა სკამზე დადო და ცარიელ მაგიდაზე ფოთლები ამოშალა, გულმოდგინედ შეათვალიერა, ჭიანჭველები არ შემიყვესო. შემდეგ ნორჩი ფოთლები შეარჩია, წვრილად დაჭრა, მუჭში მოიქცია და, ის იყო უნდა მოებნია, რომ ციცქნა ლასტს უნებლიედ დახედა. შიშით თვალები დააჭყიტა, გაოცებით დაჰყურებდა თავის რგოლის ჭიას... დაჰყურებდა და ვერაფერს ხვდებოდა. რა სიხარულით უვლიდა, ძილშიც კი ეს ჭიები ესიზმრებოდა, ახლა კი... გული დარდით აევსო და კინაღამ ცრემლი წასკდა. იქით თინას რგოლის ჭიას გადახედა, აქეთ რუსუდანისას: ისინი ჩუმად აშრიალებდნენ ძირს დაფენილ ქაღალდსა და ღამით შემოჭმულ კლერტებს. ომარის რგოლის ჭიებს თავი ჩაეკიდათ...პატარა მურებს მართლაც მურისფერი გადაჰკროდათ. არცერთი აღარ მოძრაობდა...

ერთხელ კიდევ დაიხარა. ყური მიუგდო—იქნებ აშრიალდნენო. ფოთლებიც კი დააყარა, ეგებ შიმშილმა გააჩერათო, მაგრამ ამაოდ. ჭიები არ ამოძრავდნენ. აირდაირია ყველაფერი...

„ოჰ, რას მოვიფიქრებდი, თუ ამ ერთი ბეწო ჭიებს ვერ მოვუვლიდი. იმ დალოცვილ მთაში სამასი სული ცხვარი მებარა, სამოცდაათ სულ ჩვილ ბატკანს ვმწყემსავდი, ფრჩხილიც არ წამოტკიებიათ, ესენი კი ამ გამოკეტილ ოთახში ასე როგორ ამომიწყდნენო“,—ბიჭს ცრემლი მოადგა თვალებზე და გარეთ გავარდა. ბებია ანეტა შეაშფოთა ბავშვის ცრემლებმა;

— რა მოგივიდა, შვილო?

— წუხელ ჩემი ჭიები დახოცილან!..

— რას ამბობ, ბიჭო, ჭიებს რა დახოცავდა?—პასუხს აღარ დაუცადა და გრძელი კაბის ფლარტუნით ომარს წინ წაუძღვა...

ბებიამ სათვალე შუბლიდან თვალებზე ჩამოიწია და ჭიებს დააცქერდა. მოხუცს სახეზე ღიმილმა გადაურბინა, შეშფოთებულ ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— მთის ბიჭო, ბარ ისაც უნდა გესმოდეს. საქმეს რომ ხელს მოჰკიდებ, მისი ავ-კარგიც უნდა იცოდე. შენი ჭიები კი არ დახოცილან, კანს იცვლიან. ასე იცის ამ დროს ჭიამ გაჩერება. ორიოდე დღეს არ სჭამენ. ნუ გეშინია, ხვალ ნახე რა გემრიელად შეექცნენ ფოთოლს. ჭია ნაზი მოსავლელია, მაგრამ კარგი მოვლა კი მალე დააჩნდება—კანსაც მალე გამოიცვლის და პარკსაც ადრე გააკეთებს. ამიტომ შენი მოვლილი ჭიები სხვისაზე ადრე დაწვნენ კანის გამოსაცვლელად.

ომარს გულზე მოეშვა. დაჭრილი ფოთოლი გოგოების ჭიას დაუყარა.

მალე ოთახში პატარა მეაბრეშუმეებიც შემოვიდნენ. მეტი სიცოცხლე და სიხარული შეიტანეს თამარისის საშუალო სკოლაში ამ პატარა ჭიებმა. ბავშვებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ.

სამი დღეა, სკოლაში მეაბრეშუმეობის ხუთი ბრიგადა შეიქმნა და კოლმეურნეობიდან ათი კოლო-

ფი აბრეშუმის ჭია გადმოიყვანეს მოსავლელად. შემდეგ ბრიგადაში რგოლებს დაუნაწილეს. აქ, პიონერთა ოთახში, მეხუთე ბრიგადის ჭიაა დროებით, შემდეგ კი კოლმეურნეობა მოხერხებულ ადგილზე გადაიყვანს. აქამდე თუ პიონერები კოლმეურნეობას სხვადასხვა სამუშაოზე ეხმარებოდნენ, ახლა აბრეშუმის ჭიის მოვლაც ითავეს. შემოდგომაზე კი, როცა მინდორზე მოსავალი ერთბაშად მომწიფდება, თამარისელი გოგო-ბიჭები კვლავ თავს გამოიჩენენ. ვის დაავიწყდება გასული წლის სექტემბერი, როდესაც მოსწავლეებმა მარტო თამბაქოს შეტეხვა-ანემსვაზე ათას ექვსასი შრომადღე გამოიმუშავეს. შარშან მთელი ზაფხული მთაში გაატარა ომარმა. იქ ძია დილანამ პატარა მწყემსი მალე მიაჩვია ცხვრის მოწველას, მოვლა-გაპარსვას და ყველის ამოღებას. მართალია, პირველად უჭირდა ომარს, ხშირად შესჩიოდა ხოლმე უფროს მწყემსებს—ცხვარი ჯიუტობს და რძეს არ იძლევაო. ამ დროს გამოცდილი მეცხვარე ცხვარს ცურზე სველ ხელს შეაპარებდა და ომარს ასწავლიდა—ცხვარი ასე რძეს მალე ჩამოუშვებსო. ყველის ამოყვანაში კი ომარი ისე დაოსტატდა, რომ ეს საქმე მთლიანად მას მიანდეს: სუფთა და ბარაქიანი ხელი აქვსო—ამბობდნენ ჭარმაგი მწყემსები. დროს მოიხელთებდა თუ არა, ახალბედა მწყემსი პატარა, მლაშე წყაროსთან ჩაცუცქდებოდა და სკოლის ბიბლიოთეკიდან წამოღებულ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. მუხლებზე გადაშლილ „იყალთოელ ბიჭებს“ ხან მოღიმარი და ხან წარბშეკრული სახით ხმამაღლაც ჩაიკითხავდა ხოლმე. ხალისიან მწყემსს იასტიქარის მთებში ნაადრევმა ზვავმა მოუსწრო და სკოლას ორი თვით მოსწყვიტა. სწუხდა ბიჭი, ყურში ზარის ხმა ესმოდა. მაგრამ ასეთ ყოფაში ამაგდარა მწყემსების მიტოვებაც ეძნელებოდა. მთიდან სახელოვნად დაბრუნებულს თანაკლასელები გვერდში ამოუდგნენ, ჩამორჩენაც მალე დასძლია და პირველ მეოთხედში გაჭირვებით მიღებული „სამიანები“ სასწავლო წლის ბოლოს „ოთხიანებმა“ და „ხუთიანებმა“ შესცვალეს.

ჭიების „დახოცვიდან“ ოცდახუთიოდე დღეც არ გასულიყო, რომ ჭიებმა შრიალი შეანელეს და ფოთლის ჭამა ერთბაშად აიკრძალეს. არ გეგონოთ, ჭიის მოვლა ამით დამთავრდა. ომარმა გრძელ ლასტებს დროულად შემოუწყო მუხისა და რცხილის ფოთლებშემომჭკნარი ტოტები: თითქოს აქაურობაზე გული აიყარესო, მეორე დღესვე აბრეშუმით პირსავსე ჭიებმა ლასტებიდან ცახის ხმელ ფოთლებში გადაინაცვლეს, ჩუმი შრიალით ლამბავდნენ თეთრად მოლივლივე ძაფებს და ინსტიქტურად პარკებში ექცეოდნენ.

ომარმა პირველი ნიშანი ნახა თუ არა, ეს ამბავი ქვეყანას მოსდო:—ჩემმა ჭიებმა პარკი გააკეთესო. ჯერ მეგობრებს, შემდეგ კი მასწავლებლებს აარა... კარგმა მოვლამ თავისი გაიტანა. ომარმა ყველაზე კარგი მოსავალი მიიღო. მთის ბიჭმა ბარშიც ისახელა თავი. მაგრამ მთის წყაროს დაჩვეულს, მაინც იალაღებისაკენ მიუწევს გული. ბარში კი ოჯახი აჩერებს – ომარი მშობლების ნამდვილი ნუგეში და თვალის ჩინია. სისხამ დილითვე თავის ბალვენახებში ტრიალებს, აქეთ ვაზის წამოზრდილ ლერწებს ჭიგოებზე აკრავს, იქით ბოსტნეულს წყალს უქვალავს. მერე თავის საყვარელ შავთვალა ფურ-კამეჩს მიუჯდება მოსაწველად და პირამდე რძით სავსე თიხის ქოთანს დედას გადააწვდის... სახლის წინ, მარწყვის ბაღში ხომ ბალახს არ გააჭაჭანებს. ამიტომ ამბობენ მეზობლები— გიორგი შრომაში დაბერდა, თვალი და მუხლი აღარ მოდევს, მაგრამ ეგ გასაზრდელი ისეთი გამრჯე ჰყავს, რომ ყმაწვილკაცებსაც არ დაუდებს ტოლს. რა დააბერებს და რა მოჰკლავს მაგის პატრონსო.

მარნეულის რაიონში ეს ყოჩაღი ბიჭი ცნობილი გახდა.

კარგი ბიჭი ხარ, ომარ წიკლაურო. ემრავლოს სოფელს შენისთანა შვილები!

**ქ. ხახუტაშვილი**





# პარტბილეთი

როდიონ ქორქია

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

1

პაემანი ათ საათზე იყო დანიშნული. ამ დროისათვის უნდა მოსულიყვნენ ბიჭები შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რაიონის საუკეთესო მოცურავე ბიჭები, ამ ბიჭებში კი ორი იწვევდა განსაკუთრებულ ყურადღებას: დათიკო და რევაზი. დათიკო განთქმული მოცურავე იყო. ჟოეკვარადან დაწყებული კოლხიდამდე ყველა პიონერმა იცოდა, რომ დათიკოს მთელი საათობით შეეძლო წყალში ყოფნა, ღრმად ჩაყვინთვა, ფსკერიდან კენჭების ამოღება. ცურვის სხვადასხვა სახეს კი ნუ იტყვით: გინდა მხარული, გინდა ბაყაყური, გინდა ზურგული—ყველა სახის ცურვა იცოდა დათიკომ, ყველაზე შორსაც ის მისცურავდა ზღვაში.

მესამე კლასიდან დაწყებული მეექვსე კლასამდე არავინ შესცილებია პირველობაში დათიკოს. ახლა კი, ამ ზაფხულს, სულ რამდენიმე დღის წინათ, საოცარი რამ მოხდა: თბილისიდან ჩამოვიდა რევაზი და, დათიკოს ცურვა რომ ნახა, სიცილი აუვარდა. მე უფრო ღრმად ჩავყვინთავო, მე უფრო შორს წავალო, მე უფრო დიდხანს დავრჩებიო წყალში.

მართლაც, იმ დღეს რევაზმა კინაღამ დაჩრდილა დათიკო. ხმები გაიყო: არა დათიკომ აჯობა—არა რევაზმაო. ბიჭებმა ითათბირეს და დაასკვნეს საგანგებო შეჯიბრება მოეწყოთ. და, აი, დათიკოც მოვიდა შეჯიბრებაზე.

პლაჟი უკვე მოფენილიყო მობანავეებით. ზოგი მზეს ეფიცხებოდა, ზოგი სილაში გორაობდა, ზოგი ბანაობდა.

დათიკო ადრე მოვიდა და, რომ გართულიყო, გაიარ-გამოიარა პლაჟის გასწვრივ, შემდეგ გეზი პლაჟის ბოლოსკენ აიღო. ამ ადგილას ხალხი ნაკლები იყო ხოლმე და შეჯიბრებაც აქ უნდა მომხდარიყო. ერთგან ვიღაცას კენჭები მოექუჩებინა და დათიკოც ამ გროვაზე ჩამოჯდა. გროვა დაიშალა და კენჭებს შორის მზის სხივებზე რაღაც აკიაფდა. დათიკომ დახედა. კენჭების გროვაში ქაღალდების დასტა ეგდო. დასტაში პარტბილეთის წითელი ყდა ბზინავდა. დათიკომ ფრთხილად აიღო მბზინავი წიგნაკი, გაშალა, დააკვირდა. დიახ, ეს იყო ნამდვილი პარტბილეთი.

დათიკო ჩაფიქრდა. რა უყოს პარტბილეთს?

მან იცოდა, თუ რას ნიშნავდა პარტბილეთი და რას ნიშნავდა მისი დაკარგვა პატრონისათვის. სწორედ შარშან იყო, მამამისს რომ დაეკარგა პარტბილეთი. როგორ შეძრწუნდა მთელი ოჯახი! მთელი დღე ეძებეს პარტბილეთი. იმ დღეს სადილიც არ გაუკეთებია დედას. მთელი დღე წარბი არ გახსნია არავის. მხოლოდ ერთხელ წასცდა მამას:

— თავი დამკარგოდა მერჩია იმის დაკარგვას!

ბოლოს, საღამო ჟამს, მამამ იპოვნა პარტბილეთი. ის იდო ლიმონის

ხის ძირას, ბალახებში, სწორედ იქ, სადაც დილას ხალათი ჩამოკიდა მამამ, როცა მიწას ბარავდა. დათიკოს არასოდეს დაავიწყდება, თუ როგორი გამომეტყველება ჰქონდა მამას იმ წუთს. ჯერ იყო და აენთო მამა. მერე სიხარული მოეფინა სახეზე. ბოლოს იქვე უხმოდ, მოშვებულად ჩამოჯდა, თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნაო. დათიკო მივარდა და აღტაცებით შესძახა:

— იპოვე, მამი? ხომ იპოვე?

მამამ არა უპასუხა რა, მხოლოდ შვილი და პარტბილეთი ორივე ერთად ჩაიკრა გულში. ბოლოს, როცა დამშვიდდა, ბევრი რამ უამბო შვილს პარტბილეთის შესახებ.

მაშინ დარწმუნდა დათიკო, თუ რა დიდი ფასი ჰქონია პარტბილეთს...

ჰოდა, ახლა, ამ ძვირფას წიგნაკს ალბათ გულგახეთქილი ეძებს მისი პატრონი. ალბათ ამისი პატრონი დასასვენებლადაა ჩამოსული.

„დაისვენებს რაღა!"

„რა ვუყო ამ პარტბილეთს?"— გაიფიქრა დათიკომ და ისევ ჩაიხედა წიგნაკში აგერ მისამართიც!

მაგრამ დათიკომ იცოდა, რომ პარტბილეთის პატრონს უსიამოვნება შეემთხვეოდა, თუ ფოსტით მიიღებდა წიგნაკს. ადგილობრივი რაიკომისთვის რომ წარედგინა, მაშინაც არ ასცდებოდა პატრონი უსიამოვნებას.

„ჩამოვივლი სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს",—გაიფიქრა დათიკომ, მაგრამ იმ წამსვე უარყო ეს აზრი. ცხადი იყო, რომ ნახევრად შიშველი დამსვენებელი არ ჩამოიტანდა ოთახიდან პლაჟზე პარტბილეთს. „დამსვენებელსაც რომ დაჰკარგოდა,—ფიქრობდა დათიკო,— სანამ მე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს ჩამოვივლიდე, მთელი დღე გავა. ბიჭები კი საცაა მოვლენ... ეგებ ვინმე გამვლელისაა პარტბილეთი? იქნებ ერთი დღით ჩამოსულისა? ხომ ჩამოდიან მეზობელი კურორტებიდან, რომ დაათვალიერონ ჩვენი გაგრა?"

ფიქრებმა შეაწუხეს დათიკო და, უცებ ერთმა ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში. პატრონი, როგორც კი შეამჩნევს პარტბილეთის დაკარგვას, უთუოდ მოვა ამ ადგილას. მოვა, რადგან, ეტყობა, აქ გაუხდია ტანისამოსი, აქ მოუქუჩებია ქვები გასართობად, ყოველ შემთხვევაში აზრი აქვს იმას, რომ პარტბილეთის პატრონს აქ დაელოდოს დათიკო...

ასე გადაწყვიტა დათიკომ. ამასობაში ბიჭებიც მოვიდნენ. ჯერ დათიკოს ამხანაგები, შემდეგ—რევაზისა.

2

— აბა, დავიწყოთ!—თქვეს ბიჭებმა.

დათიკომ შეჯიბრებაზე უარი განაცხადა. ზღვაში რომ შეცურებულიყო, ხომ შორს წავიდოდა? ხომ დიდხანსაც დარჩებოდა? ჰოდა, ამ ხნის განმავლობაში რომ მოსულიყო პარტბილეთის პატრონი?!

— შეგეშინდა?—ჰკითხა რევაზმა



დიახ, ეს იყო ნამდვილი პარტბილეთი.

და ცივად მოუჭრა:—ლაჩარი ყოფილხარ!

დათიკო აენთო. ქორივით დააფრინდა რევაზს. საქმის ასეთმა მოულოდნელმა შეტრიალებამ ბიჭები დააბნია.

— აბა, ჩხუბი არ იყოს!—დინჯად თქვა რევაზმა.—შენი არავის ეშინია, თუ შეჯიბრება გინდა—გამოდი! თუ შეგეშინდა—წადი! მორჩა და გათავდა...

ესა სთქვა რევაზმა, მკლავები აჭიმა და ისეთი კუნთები გამოაჩინა, რომ ბიჭებმა აღტაცებით გადახედეს ერთმანეთს.

„მართალია. ჩხუბი რა შუაშია!"— გაიფიქრა დათიკომ, ხოლო რევაზს ასე უთხრა:—მე ლაჩარი არა ვარ, მაგრამ დღეს ვერ შეგეჯიბრები. დღეს არ შემიძლია, საქმე მაქვს.

— ხა... ხა... ხა...—გადაიხარხარა რევაზმა.—მაშ, გუშინ რას ჩქვეხნიდი? საქმე გაქვს... წადი, შვილოსა, და სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიცა სთქვი!

დათიკომ ვერაფერი უპასუხა. იცოდა, მართალი იყო რევაზი. მაგრამ რევაზის უკანასკნელმა სიტყვებმა ძალზე გაახელეს. იფეთქა თავმოყვარეობამ და გაიწვია ბრძოლის ველზე. გაიფიქრა: ჯანაბას ეს საბუთები! თავი იმან იმტვრიოს, ვინც ვერ მოუარა!

და უცებ გაიხადა ხალათი, შარვალი, ფეხსაცმელები. მზის სხივებზე აბრჭყვიალდა მისი მზეზე გარუჯული, სპილენძისფერი ტანი. მართალია, რევაზისთანა კუნთები არ ჰქონდა დათიკოს, მაგრამ ერთთავად ძარღვებისაგან იყო ასხმული ეს ბიჭი და ხვლიკივით მოქნილი.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — შესძახეს ამხანაგებმა დათიკოს. გაუხარდათ, რომ მათმა ამხანაგმა სირცხვილი აიშორა თავიდან.

მაგრამ დათიკომ უცებ ჩაქინდრა თავი, იდგა უძრავად და რაღაც მძიმე, გადაუჭრელს ფიქრობდა. ბოლოს მოეშვა და ნელი ხმით თქვა:

— არა! დღეს არ შემიძლია!

— აბა, მე ხვალ სოჭაში მივდივარ, შენ კი არ დაგიცდი!—დაცინვით უთხრა რევაზმა და გადასძახა ბიჭებს:—წესით, პირველობა

ჩემია! ხოლო, ვისაც სურს, ჩავიდეთ ზღვაში. აბა ვნახოთ, ვინ უფრო შორს წავა? ვინ უფრო დიდხანს დარჩება წყალში?

რევაზი და მისი ჯგუფი წყალში გადაეშვნენ.

— რა დაგემართა, ბიჭო?—შემოადგნენ დათიკოს მისი ამხანაგები.

— არ მინდა დღეს გაჯიბრება და ესაა!—მოკლედ უპასუხა ამხანაგებს დათიკომ.—თქვენ გაეჯიბრეთ მაგათ, ჩემზე ნაკლები ხართ თუ?

ერთ ბიჭს კი სთხოვა:

— აქედან რომ დაბრუნდები, დედაჩემს გადასძახე: დათიკო ბიძიასთან წავიდა-თქო. არ შეეშინდეს.

ბიჭები ზღვაში გადაეშვნენ და შხაპუნ-შხაპუნით გასწიეს შორს. დათიკომ ნაღვლიანი თვალი მოაშორა მათ და ქვებზე გაწვა.

კარგი ზღვა იყო—სუფთა, წყნარი. პატარ-პატარა ტალღები თამაშით ამორბოდნენ ნაპირზე, ქვებზე შრიალებდნენ, იმსხვრეოდნენ და ერთსა და იმავეს ეღურტულებდნენ დაუსრულებლივ.

მთებს გახედა დათიკომ. მწვანედ აქოჩრილ მთებზე მზის სხივები აბლაბუდასავით გახლართულიყო. დასასვენებელი სახლების ფანჯრებზე მზე ისე ლაპლაპებდა, რომ თვალს ვერ გაუსწორებდა კაცი.

ახლა ბაღებს გახედა დათიკომ. მთის კალთებზე დაკიდულიყვნენ ბაღები და ზღვისკენ გაეშვირათ ტოტები. მზის ათინათი მხიარულად იცინოდა ლიმონის მუქ ტოტებზე, ევკალიპტის ვერცხლისფერ წვეტიან ფოთლებზე, ყურძნის მტევნებზე. შიგადაშიგ, ლობეების გაყოლებით, მწიფე ღელვი იცინოდა და ელავდნენ ბროწეულის ლაჟღაჟა ლოყები.

3

შუადღემ მოატანა. ბიჭები ამოვიდნენ ზღვიდან. ყველაზე ბოლოს რევაზი ამოვიდა. ყველას თითო თევზი—სტავრიდა ეჭირა ხელში.

— ოჰ, რამდენი თევზი დაიჭირა სეინერმა!—უთხრა დათიკოს ერთმა ამხანაგმა.—ჩვენ სეინერმა ზღვაში შეგვიყვანა, თევზის ჭერას ვუყურეთ. ოჰ, რა საინტერესოა!

— რევაზიც თქვენთან იყო?

— აბა! ჯერ შევეჯიბრეთ ერთმანეთს. რაც მართალია, მართალია, ძალიან კარგი ცურვა კი სცოდნია მაგ ბიჭს!

კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა ამხანაგი, მაგრამ დათიკო ყურს არ უგდებდა. ის იწვა უძრავად, გაბრაზებული იყო თავის თავზე, პარტბილეთის პატრონზე და იმაზე, რომ შეეძლო ამდგარიყო, წასულიყო და მაინც არ დგებოდა, არ მიდიოდა.

ბიჭები დაიშალნენ. იმ ბიჭს ერთხელ კიდევ გაახსენა დათიკომ:

— თარაშ, დედაჩემს გადასძახე! არ დაგავიწყდეს!..

ზის დათიკო და ელის, ელის იმ უცხოს, ვისი გულისთვისაც დღეს სრულიად დაუმსახურებლად იწვნია ლაჩრობის მათრახი.

მოშივდა.

გაიქცეს შინ? ისადილოს და გამობრუნდეს? მაგრამ ეგებ სწორედ ამ დროს მოვიდეს ის კაცი?

დაიწყო ქვების გადარჩევა, ხუხულების შენება. მზემ მაგრად დააცხუნა. ხალათი წამოიხურა თავზე. შიმშილმაც შეაწუხა. ამას კი ვერაფრით უშველა.

— წავალ! როდემდე ვუცადო?—გადაწყვიტა ბოლოს.

· წამოდგა. ჩაიცვა. ცოტა მანძილი რომ გაიარა, შედგა. უხერხულობა იგრძნო. გაახსენდა მამის აფორიაქებული სახე... არა! არ შეიძლება წასვლა. ეგებ მოვიდეს ის კაცი?



— შეგეშინდა?—ჰკითხა რევაზმა,—ლაჩარი ყოფილხარ!



დაებარებინა მაინც თარაშისათვის საჭმლის მოტანა!

— არა! კარგი ვქენი რომ არ დავაბარე!—წამსვე შეცვალა ფიქრი.—რა მიზეზით ამეხსნა, რომ აქ უნდა მესადილა? პარტბილეთის ამბავი საიდუმლოდ უნდა დარჩეს...

ვიღაც კაცი გამოემართა დათიკოსაკენ. აქ, პლაჟის ამ ბოლოსკენ, ცოტანი მოდიოდნენ მობანავენი და, დათიკოს გაეხარდა, ეგებ „ის" იყოსო.

კაცი მოდიოდა ჩაფიქრებული. მოვიდა. გაიხადა. გაიზმორა.

„არა! ეს არაა!—გადაწყვიტა დათიკომ.—ის არ გაიზმორებოდა".

ახლა ქალი და კაცი გამოჩნდნენ. დინჯად მოდიოდნენ, ნაპირს აკვირდებოდნენ, ალაგ-ალაგ ქვებში ხელებს უფათურებდნენ.

— ეძებენ!—გაეხარდა დათიკოს და წამოხტა, პარტბილეთი მოწიწებით დაიჭირა ხელში.

ქალი და კაცი სულ ახლოს შეჩერდნენ. დაიწყეს ქექვა კენჭებში.

— რას ეძებთ?—ვერ მოითმინა დათიკომ.

— ტუფლს ვეძებთ, ბიჭუნი!—მიუგო ქალმა.

— ტუფლს? კენჭებში?—გაუკვირდა დათიკოს.

— ჰო! გუშინ აქ ერთი ქვა ვიპოვეთ. სულ ტუფლის გამოხატულება ჰქონდა. ახლა მეორეც გვინდა ვიპოვოთ კოლექციისათვის.

— ფუი!—უნდოდა დაეყვირა დათიკოს, მაგრამ უფროსებს ცუდი სიტყვა ვერ ჰკადრა, ვერც ზურგის შებრუნება, ამიტომ ნება-ნება დაიხია უკან და მწარედ გაეცინა.

შიმშილმა კი ისევ აუწვა კუჭი.

მზე გადახრაზე იყო. ახლა მთელ გაგრაში ყველა სადილობს ალბათ, ან ისადილა უკვე. ახლა გარინდვის საათია. მხოლოდ დათიკო დგას ნამუსის სადარაჯოზე და არ შეუძლია წასვლა.

ბოლოს, ლოდინით რომ გული გადაელია, გაიფიქრა:

— მივუტან მამაჩემს. მას უკეთ ეცოდინება, თუ როგორ ჩააბაროს პატრონს გაუხმაურებლად.

ფრთხილად დახედა პარტბილეთს.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

დათიკომ იცის რასაც ნიშნავს ეს სიტყვები! იცის, რომ ამ სიტყვებისათვის ბევრს გაუწირავს თავი, ბევრი სახრჩობელაზეც კი ასულა!.. ახლა კი, ახლა ეს ოთხი სიტყვა მოლოდინით უყურებს დათიკოს, თითქოს ეკითხება:

— შენ, პიონერო, შესძლებ გვიპატრონო დღეს?..

შესძლებს! როგორ არ შესძლებს?

და დათიკო ისევ ჩამოჯდა ქვების გროვასთან. დაუცდის საღამომდე.

4

საღამოს კი, როცა მზე გადაიხარა, როცა წითლად შეიღება დასავლეთის კიდური, ვიღაც ჭაღარა გამოჩნდა. ის მოდიოდა ჩქარი ნაბიჯით, ერთგან შედგა, მიიხედ-მოიხედა, რაღაც მოისაზრა და მივიდა იქ, სადაც ქვების გროვა იყო. დათიკომ ახლაღა შენიშნა, რომ მახლობლად მიწიდან ამოშვერილიყო ზღვიდან გამორიყული კუნძი.

— ჰოო! ამ კუნძით მოაგნო ამ ადგილს,—დაასკვნა დათიკომ, მაგრამ ჭაღარა კაცს ვერაფერი ჰკითხა; ეშინოდა იმედის გაცრუებისა.

ჭაღარამ შიშჩამდგარი თვალებით მიიხედ-მოიხედა, შეხსნილი საკინძე გადაიწია, თითქოს ყელზე უჭერსო და, ჰკითხა დათიკოს:

— შენ, ბიჭუნა, დიდი ხანია აქ ზიხარ?

— დიდი ხანია. დილიდან.

— შენს გარდა იყო აქ ვინმე?

— იყო.

კაცმა ღრმად ამოისუნთქა. თვალი თვალში გაუყარა დათიკოს.

— ხომ არაფერი გიპოვნია აქ?

— ვიპოვე... აი, ეს საბუთები... მე დილიდან გელოდებით, ბატონო! ვფიქრობდი, რომ მოხვიდოდით,—და დათიკომ ქაღალდების დასტა გაუწოდა ჭაღარას, პარტბილეთი კი ხელში გაიჩერა და ჰკითხა:—თქვენი გვარი?

ჭაღარას გაეღიმა და ის გვარი უთხრა, რაც პარტბილეთში ეწერა. დათიკომ ჩააბარა პარტბილეთი და ჰკითხა:—როგორ დაგეკარგათ საბუთები?

— ამ დილით აქ კაცი იღრჩობოდა. გადავარჩინე. მაგრამ, ნაპირზე რომ ამოვიყვანე, გული შემიღონდა. სუსტი გული მაქვს. საავადმყოფოში წამიყვანეს. ვიღაცამ აკრიფა ჩემი ტანისამოსი და მომიტანა საავადმყოფოში. საბუთები კი არ აღმოჩნდა ჯიბეში. ვიფიქრე, ამ ადგილას თუ ამოვარდა-მეთქი...

და სწორედ ისე, როგორც შარშან მამამ, დათიკო და პარტბილეთი ერთად მიიზიდა ჭაღარამ და უთხრა:

— შვილო, მე ამ პარტბილეთს იმიტომ ვატარებ ორმოცი წელიწადი, რომ ჩვენს ქვეყანას შენისთანა შემცვლელი გამოეზარდა...






ვ. მინაევი

# ნათელთევზა, ლოცმანი და კალმარი

თავდაპირველად მე ყველაფერი მაოცებდა: ტალღები, ოკეანე, სინათლის თამაში წყალზე... ოკეანე ხომ არასოდეს არ არის ერთნაირი. ხმელეთიდან მოშორებით იგი მუქ ლურჯია, თუ ცაზე ღრუბლებია, მაშინ თითქმის შავია... ნაპირთან იგი ბაცდება და თითქმის მომწვანო ფერისა ხდება.

კარგ ამინდში, როდესაც მზე ანათებს, სხივები წყალში შეაღწევენ და თითქოს ერთდებიან სიღრმეში. გეგონებათ, ბნელ წყალში მზის სხივებისაგან განათებული კარავია: თითქოს წყალს შიგნიდან ანათებს ვიღაც.

„მზის კარავში“ ყველაფერი მოჩანს, შეიძლება პატარა თევზიც დაინახო. უყურებ და თვალს ვერ აცილებ, — ისეთი საინტერესოა! მაგრამ უფრო საინტერესო იყო, როდესაც გემს ნათელთევზები უახლოვდებოდნენ. მათი გამოჩენა, ჩვეულებისამებრ, დიდ გასართობს წარმოადგენდა ყველასათვის, ვინც თავისუფალი იყო საგუშაგოსაგან. განსაკუთრებით თავშესაქცევია თვალი ადევნო ნათელთევზასა და პატარა თევზის — „ლოცმანის“ მეგობრულ ურთიერთობას. მართლაც რომ, ნამდვილი ლოცმანია იგი ნათელთევზასათვის. როგორც კი წყალში რაიმე საგანი გამოჩნდება, ლოცმანი მოშორდება ნათელთევზას და გაეშურება მისკენ. მხოლოდ „ლოცმანის“ დაბრუნების შემდეგ, თითქოს მისგან რაღაც ნიშანი მიიღოო, იწყებს ნათელთევზა ნადირობას. თავდაპირველად იგი წრეებს შემოხაზავს, რომლის ცენტრში მიზანში აყვანილი თევზია. ნათელთევზა არაჩვეულებრივად დიდია და ღონიერი. დაამთავრებს რა დაზვერვას, იგი გადაბრუნდება გვერდზე, თითქმის პირაღმა, მიიღებს „საბრძოლო მდგომარეობას“ და ეძგერება მსხვერპლს.

ცნობილია ნათელთევზას ღორმუცელობა. ჩვენ ვცდილობდით დაგვეჭირა იგი. მის მისატყუებლად თავდაპირველად ვხმარობდით კონსერვის ქილებს. ნათელთევზა შემოხაზავდა წრეს, მიუახლოვდებოდა ქილას, მაგრამ პირს არ აკარებდა. საჭირო გახდა მოგვენახა უფრო მიმზიდველი რამე მის გასამასპინძლებლად. მოვიტანეთ ღორის ქონის ტყავი. ეს საშოვარი მოეწონა მტაცებელს და ანკესიანად გადაყლაპა. მალე ნათელთევზა გემბანზე ფართხალებდა. ის დიდი არ იყო — სულ მეტრნახევარი სიგრძისა. თხუთმეტმეტრიანი ნათელთევზებიც ხომ არის! მაგრამ ყველაზე საშინელი და მძვინვარეა ვეფხისებური ნათელთევზა, თუმცა მისი სიგრძე ხუთ — ექვს მეტრს არ აღემატება. ასეთი ნათელთევზები გუნდად ნადირობენ და ძალიან სახიფათონი არიან დიდი თევზებისთვისაც კი.

ლოცმანი? სადღა წავიდა ჩვენს მიერ დაჭერილ ნათელთევზას ლოცმანი? ვაი რომ, მან მიატოვა იგი გასაჭირში! ლოცმანის დაჭერა ნათელთევზასთან ერთად, რომლის მახლობლადაც ის იკვებება, შეუძლებელია. ლოცმანი ყოველთვის ასწრებს გაპარვას. ესეც გაიპარა, ალბათ ახალი პატრონის საძებრად წავიდა.



იაპონიის ნაპირებზე ბადეში გვხვდებოდა პატარა კალმარები. მათ „რეაქტიული ძრავები“ აქვთ. კალმარი მოძრაობს ბიძგებით: გაუშვებს რა წინ წყლის ძლიერ ნაკადს, თვითონ საწინააღმდეგო მიმართულებით მიცურავს.

აი, ეს არის ფიზიკის კანონებით რეაქტიული მოძრაობა.

მახსოვს, როგორ მოვკურცხლე პირველად დაჭერილი კალმარის სანახავად. მაგრამ ვერაფერი ვერ დავინახე, შავი წუმპის მეტი. თურმე, როდესაც კალმარი წყლიან ვედროში ჩადვეს, მან შესანიღბავად შავი სითხე გამოუშვა. თავად სრულიად არ მოჩანდა, მხოლოდ ხანდისხან შადრევანივით უშვებდა შავ წუმპეს.

პირველად ვნახე სამხრეთის ზღვების მეორე „სასწაულიც“ — მფრინავი თევზები. წყლიდან ამოვარდნისას ისინი ფრთებივით გახსნიან ფარფლებს, გუნდად ჩაიქროლებენ ჰაერში, ხანდახან ას მეტრზეც კი. მათ შეუძლიათ შეიცვალონ ფრენის მიმართულება და, მკვეთრად შემოტრიალდებიან რა თითქმის სწორკუთხედით, კვლავ მშობლიურ სტიქიას უბრუნდებიან.

მფრინავ თევზებს გაჭირვებამ „ასწავლა“ ირაოს კეთება, მათთვის ფრენა თავის დახსნის საშუალებაა. ურიცხვ თაობათა ცვლაში მათ ფარფლები თანდათან შეეცვალათ, დაუგრძელდათ, ისინი ფრთებს დაემსგავსნენ და მფრინავ თევზებს მდევრებისაგან თავის დაღწევაში ეხმარებიან.

ყოველივე ამის შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს და გამიგონია, მაგრამ საკუთარი თვალით მფრინავი თევზების ნახვა უფრო საინტერესო ყოფილა.

თარგმნა ლ. კიკვაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოყვარულთა ფოტო




გ. ჯოჯუა

ფოტოპროცესები სამ სტადიად შეიძლება დაიყოს:

1. გადაღების სტადია, 2. ნეგატივის დამუშავების სტადია და 3. პოზიტივის დაბეჭდვა-დამუშავების სტადია.

გადაღების სტადიაში წარმოებს ექსპოზიციის განსაზღვრა, გადასაღები საგნების განათებულობის, ფოტოაპარატის შუქმგრძნობიერების, ობიექტივის შუქძალისა და ობიექტივის შუქფარის გახსნა-დახურვის სისწრაფის მიხედვით, შუქფარის მექანიზმის მომართვისა და აშვების შედეგად ობიექტივში გაივლის გადასაღები საგნების მიერ არეკლილი სინათლის სხივები, რის შედეგად მოხდება ფოტოაფსკზე სინათლის ზემოქმედება, რასაც ფოტოაფსკის ე ქ ს პ ო ნ ი რ ე ბ ა ეწოდება.



გადაღების სტადია

ნეგატივის დამუშავების სტადიაში წარმოებს ექსპონირებული ფოტოაფსკის გამომჟღავნება, რის შედეგად მიიღება გამოსახულება, რომელზეც საგნების ნათელი ადგილები შავად მოჩანს, ხოლო მუქი ადგილები — გამჭვირვალეა. ასეთ გამოსახულებას ნ ე გ ა ტ ი ვ ი ეწოდება.

პოზიტივის დაბეჭდვა-დამუშავების სტადიაში წარმოებს ნეგატივიდან პროექციული წესით ფოტოსურათის დაბეჭდვა და შემდეგ გამომჟღავნება, რის შედეგად მივიღებთ მზა ფოტოსურათს, რომელსაც პ ო ზ ი ტ ი ვ ი ეწოდება.

მხოლოდ ფოტოპროცესის სამივე სტადიის შეუცდომლად ჩატარების შედეგად მიიღება კარგი ხარისხის ფოტოსურათები.

თანამედროვე მცირეფორმატიან ფოტოაპარტთა შორის ფოტოაპარატი „სმენა“ გამოირჩევა სიმარტივით და იგი ფრიად ხელმისაწვდომია.

ფოტოაპარატი „სმენა“ (სურ. 1) იმდენად ტიპიურია, რომ მისი შესწავლით ძალზე გაგიადვილდებათ სხვა ფოტოაპარატების შესწავლა.

ფოტოაპარატ „სმენას“ კორპუსზე დამაგრებულია შემდეგი დეტალები: შუქსაფარი 3; ობიექტივი 4, ოპტიკური ხედმძებნი 5, ფოტოკადრების მთვლელი 6, ფოტოაფსკის გამომსახველი სახელური 7, ფოტოსაკადრო ჩარჩო 8, შტატივზე დასამაგრებელი ქანჩი 9 და სახურის კორპუსზე მოსადები კავი 11.

ფოტოაპარტის სახურზე დამაგრებულია შემდეგი დეტალები: სახურის საკეტი 10 და ფოტოაფსკის ფოტოსაკადრო ჩარჩოზე მისაწოლი ბალიში 12. (სურ. 5) შუქძალის შემცირებისა და გამოსახულების სიმკვეთრის გადიდების მიზნით საჭიროებისამებრ დიაფრაგმის დავიწროვება შეგვიძლია ვაწარმოოთ ობიექტივის ბუდეზე დაჭდეული სკალის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით: 4, 5, 8, 2, 5, 8, 11, 16 და 22. მანძილების მაჩვენებელ სკალაზე უახლოესი გადასაღები მანძილი იწყება 1,8 მეტრიდან და გრძელდება უსასრულობამდე.

ობიექტივის ბუდის შიგნით მოთავსებულია დიაფრაგმა, რომლის რეგულირება წარმოებს კბილებიანი რგოლის 15-ის საშუალებით (სურ. 1), რისთვისაც ობიექტივის ბუდეზე დაჭდეულია



ნეგატივის დამუშავების სტადია

სკალა დანაყოფებით: 4,5 დან 22 ფარგლებში. ობიექტივის ბუდის შიგნით დიაფრაგმასთან ერთად მოთავსებულია შუქსაფარი, რომლის გახსნა-დახურვის სისწრაფე განსაზღვრულია წამის ნაწილებში, შემდეგი თანმიმდევრობით: 1,10, 1,25, 1,50, 1,100, 1,200, წამი. ნებისმიერი დახანებისას შუქსაფარის სისწრაფის რეგულატორი უნდა დავაყენოთ „B“ მდგომარეობაში და შემდეგ გავხსნათ იგი ამშვები ბერკეტის (25) საშუალებით.

ფოტოაპარატის კორპუსში, ფოტოაფსკით დამუხტული კასეტები უნდა მოვათავსოთ ისეთი განლაგებით, როგორც ეს ნაჩვენებია მეოთხე სურათზე, ხოლო ფოტოაფსკის კოჭზე დახვევა ვაწარმოოთ მეშვიდე სურათის მიხედვით. ფოტოაფსკების კოჭზე დახვევა და კასეტში მოთავსება უნდა ვაწარმოოთ სრულ სიბნელეში, რისთვისაც საჭიროა წინასწარი ვარჯიში. კასეტში მოთავსებული კინოფირის გარეთ გამოშვერილი ბოლო უნდა შემოვაჭრათ მაკრატლით, ისრისებურად. და შემდეგ დავამაგროთ მეორე კასეტის კოჭზე, შემდეგ ეს უკანასკნელიც მოვათავსოთ კასეტში, ამის შემდეგ კი ორივე კასეტი ჩავდოთ აპარატში.



დაბეჭდვა-დამუშავების სტადია

თუ კასეტები აპარატში სწორად არის მოთავსებული, მაშინ სახური კორპუსს ადვილად მოერგება, რომლის დაკეტვას მერვე სურათის მიხედვით ვაწარმოებთ.

ყოველი ფოტოკადრის გადატანისათვის საჭიროა თითი დავაჭიროთ ღილაკს (18) და ავუშვათ (სურათი 1). ამის შემდეგ სახელური (7) უნდა ვატრიალოთ შემაჩერებელ საყრდენამდე. გადაღების დაწყებამდე საჭიროა გავატაროთ მხოლოდ ერთი ფოტოკადრი და შემდეგ, მთვლელის (6)




სურ. 1. სურ. 5.

მაჩვენებელი ისარი დავაყენოთ „0“-ზე.

ფოტოაპარატ „სმენით“ სურათების გადაღებისათვის დავაკვირდეთ პირველ სურათზე მოცემული აპარატის მთლიან ხედს და ფოტოგადაღების ოპერაციები ჩავატაროთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. გავხსნათ ფუტლარი და ობიექტივის ბუდიდან მოვხსნათ სახური.

2. კბილებიანი რგოლის (23) საშუალებით შუქსაფარის — რეგულატორი დავაყენოთ სათანადო სისწრაფეზე და შემდეგ. მოსამართი ბერკეტის (24) საშუალებით, შუქსაფარის მექანიზმი საყრდენამდე გადავწიოთ.

3. სარეგულარო რგოლის (15) საშუალებით დიაფრაგმა დავაყენოთ გადასაღები საგნების განათებულობის, ფოტოაფსკის შუქმგრძნობიერებისა და საგანთა სივრცეში განლაგების მიხედვით. პორტრეტის გადაღებისათვის დიაფრაგმა უმჯობესია დავაყენოთ დანაყოფზე: 4, 5, ან 5, 6. ხოლო ჯგუფური პორტრეტებისა და ხედების გადაღებისას 5,6 ან 8-ზე.

4. გადასაღებ საგანსა და აპარატს შორის მანძილის განსაზღვრისთვის არსებობს სპეციალური ოპტიკური მანძილსაზომი. იმ შემთხვევაში, თუ არ გვაქვს ოპტიკური მანძილსაზომი, თვალით, მიახლოებით გავზომოთ მანძილი, შემდეგ გაზომილი მანძილის



სურ. 7.

შესაბამისად, მოვნახოთ ციფრი ობიექტივზე და შევუთავსოთ იგი მანძილების მაჩვენებელი ისრის მარცხენა ნაწილს.

5. წყნარად დავაჭიროთ თითი შუქფარის ასაშვებ ბერკეტს (25), ხოლო შემდეგი ფოტოკადრების გადაღებისათვის დავაჭიროთ თითი ფოტოაფსკის ასაშვებ ღილაკს და ვატრიალოთ სახელური (7) მანამ, სანამ მიაღწევდეს საჭირო საყრდენამდე.

6. ფოტო აპარატის განსამუხტავად მოვხსნათ უკანა სახური (სურ. 6) და ამოვიღოთ კასეტები.

7. გადაღებული ფოტოაფსკი საჭიროა ამოღებული იქნას კასეტიდან სრულ სიბნელეში, ხოლო გამჟღავნება უნდა ვაწარმოოთ



სურ. 8.

კოლოფის ეტიკეტზე მითითებული დროის მიხედვით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

## საინტერესო თემაზე

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გვატემალაში ყვინთვის მოყვარულებმა გადაწყვიტეს ჩაეყვინთათ ამატიტლანის ლამაზ ტბაში. ამ საქმეს სუფთა სპორტული ინტერესი ჰქონდა და, ცხადია, არქეოლოგიურ აღმოჩენას არავინ მოელოდა.

როგორი იყო მათი გაკვირვება, როდესაც ნაპირთან, სულ ახლოს, ფსკერზე. ქვის უამრავი ჰურჭელი, ინდიელთა ძველი ღმერთების გამოსახულებები და მრავალი სხვა ნივთი აღმოაჩინეს.

გვატემალის ტერიტორიაზე ამის მსგავსი ნივთები სხვა დროსაც ჰქონდათ ნაპოვნი, მაგრამ მათი ტბაში ძებნა, ცხადია, არავის მოსვლია აზრად.

როგორ მოხვდა ეს ძვირფასი ნივთები ტბის ფსკერზე? პირველად არქეოლოგებს აზრად მოუვიდათ შეესწავლათ ტბის სანაპიროები. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო; ახლო-მახლო ინდიელთა რამდენიმე ნასახლარი იქნა აღმოჩენილი. აქედან დასკვნა გააკეთეს: ტბის დონემ რაღაც მიზეზით აიწია ალბათ და ერთ-ერთი სოფელი ტბის ქვეშ მოექცა. მაგრამ აქ მრავალი საწინააღმდეგო კითხვა გაჩნდა. რატომ არ წაიღეს ინ-



დიელებმა თან თავიანთი ქონება? ან რატომ არ იყო ნაპოვნ საგნებში თუნდაც ერთი საოჯახო ნივთი? ამასთან, როგორც გამოირკვა, ნივთები ტბის ფსკერზე გაფანტული კი არ იყო, არამედ ჯგუფ-ჯგუფად ეყარა და არა მარტო ნაპირთან, არამედ ტბის შუაგულშიაც.

ამ დროს მეცნიერებს გაახსენდათ ინდიელთა ერთი ჩვეულება. თავის დროზე ინდიელები თავიანთ რელიგიურ ცენტრთან, ეგრეთწოდებულ „წმიდა ტბაში“ მსხვერპლშეწირვას ასრულებდნენ ხოლმე, წყალში ჰყრიდნენ კერპთა გამოსახულებებს და ადამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად.

აი, სწორედ ამის მსგავს მოვლენას ჰქონია ადგილი ამატიტლანის ტბასთან. ასე რომ, ამატიტლანი უზარმაზარი „წმიდა ტბა“ გამოდგა.

ტბის სანაპიროზე წარმოებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ინდიელები ამ მიდამოებში ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ. არქეოლოგიური გამოკვლევები ტბის მიდამოებში კვლავ გრძელდება და, იმედია, ბევრ საინტერესო მასალას მისცემენ მეცნიერებას ესპანელ კოლონიზატორთა მიერ მოსპობილი მაიას ხალხის დიდი კულტურული წარსულის შესახებ.

ლადო სულაბერიძე

# მთებისკენ

დავხურეთ სკოლების კარები,
დავტოვეთ ჩვენ-ჩვენი მერხები,
გავშალეთ თეთრ-თეთრი კარვები...
მუხები... ნაძვები... ვერხვები...

ჩვენს ახლოს მთებია დიდები,
გომბორი, ლიხი თუ ზეკარა.
დავტოვეთ გაშლილი მინდვრები,
დილის მზე თავს წამოგვეპარა.

ავივლით მავან და მავან მთებს,
ულრანებს გავიკვლევთ კომპასით...
ამალამ კოცონს რომ ავანთებთ,
იმ მაღლობს დავარქმევთ კომკავშირს.

მივდივართ, ხანდახან ვჩერდებით,
ვუმღერით სამშობლოს საყვარელს...
იმ ციხის ნანგრევთან შევდგებით,
დავლოცავთ წინაპართ ნაკვალევს.

მივდივართ, პატარა ფილტვები
ირმების ჰაერმა ალალოს!..
არწივი წამოგვიფრინდება,
რომ ფრთების სიგანე გვანახოს.

შემოგვეფეთება ჩანჩქერი,
რომ შუბლზე შხეფები გვაშხეფოს...
ხრამებს და ხეობებს ჩავცქერით...
წინ, გოგონებო და ვაჟებო!..

მივალთ და მიგვყვება ფიქრები,
გადვივლით მდინარეს ქაფიანს...
ჰა, რაც ჩვენ ვისწავლეთ წიგნებით,
აი, ის გეოგრაფია.

ჩასწერე, ჩახატე, წაიღე
ბალახი, ფოთოლი, ყვავილი...
სამშობლოს გზებს უფრო გაიგნებ,
ბილიკებს თუ მარჯვედ გაივლი.

გასძელი, თუ გზაში მოგშივა,
წვიმაში გაშალე კარავი...
და მერე გრძელ გზაზეც, თოვლშიაც
აღარ გაცივდება არავინ.

ავივლით მავან და მავან მთებს,
ულრანებს გავიკვლევთ კომპასით.
ამალამ კოცონს რომ დავანთებთ,
იმ მაღლობს დავარქმევთ კომკავშირს.




## „სკოლა“

არკადი გაიდარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია მთელს საბჭოთა საბავშვო მწერლობაში.

გაიდარის „სკოლა“ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია. ცნობილია, რომ სამოქალაქო ომში ჩვიდმეტი წლის გაიდარი ასეულს მეთაურობდა, ხოლო ოცდაორისა — პოლკს, და პოლკოვნიკის სამხედრო წოდება ჰქონდა.

მოთხრობის მთავარი გმირია ბორის გორიკოვი, რომლის მამა — ბოლშევიკი, ფრონტიდან გამოიქცა და ხალხის ბედნიერებისათვის ილვწოდა — იგი შეიპყრეს და დახვრიტეს. ამ ტრაგედიამ დიდად იმოქმედა თხუთმეტი წლის ბორისზე. მან შეიზარა მემამულეებისა და კაპიტალისტების სამყარო და მტკიცედ გაყვა მამის კვალს.

იგი ხვდება მამის მეგობართა წრეში და




იბრძვის „რევოლუციური პროლეტარიატის რაზმში“.

ბორის გორიკოვის გვერდით ავტორი სიყვარულით ხატავს ნათელ სახეებს რევოლუციისათვის თავდადებული გმირებისას. ბევრი მათგანი დასცა თეთრებისა და ინტერვენტების ტყვიამ მაგრამ ამ ტყვიას არ შეეძლო მოესპო იდეა, რომლისთვისაც იბრძოდა ერთიან კლასად შეკრული პროლეტარიატი, რომელსაც წინ მიუძღოდა კომუნისტური პარტია.

წიგნი კარგი ქართულითაა თარგმნილი რ. ქორქიას მიერ.

ალ. კოკაია

## „მარგალიტი“

წნელით მოღობილ ქოხში მცხოვრებ ინდიელებს — კინოსა და მის მეუღლეს ერთადერთი სიხარული აქვთ ამ ქვეყნად — ჩვილი ვაჟი კოიოტიტო. უმწეო, უფლებააყრილ ადამიანთა უბედობას ისიც დაემატა, რომ მორიელმა დაგესლა პატარა ბიჭუნა. გამწარებულმა დედამ მკლავზე გადაიწვინა ბავშვი და შხამიანი ადგილი ამოუწუწნა. გაძვალტყავებული მეზობლები გარშემოერტყნენ უბედურ დედ-მამას. მდიდარმა ექიმმა კი ზიზღით შეხედა უფულო კლიენტებს: „არა, მათ არასოდეს არა აქვთ ფული...“ გულდამწვარი მშობლები წყევლა-კრულვით მოცილდნენ უსულგულო ექიმს... მათი საყვარელი კოიოტიტო ბოლოს მაინც ტყვიის მსხვერპლი ხდება..

სიღარიბესა და სიბეჩავეს ზედ ერთვის საშინელი ცრუმორწმუნეობა, გაუნათლებლობა, გონებრივი ჩამორჩენილობა: ზღვის სიღრმეში ნაპოვნი, ძვირფასი მარგალიტი კინომ უკანვე — ზღვაში გადაისროლა, რომ თავისი ოჯახი „ავი სულებისაგან“ დაეცვა...

ეს ამბავი მოთხრობილია ამერიკელი მწერლის — ჯონ სტეინბეკის პატარა ნაწარმოებში — „მარგალიტი“, რომელიც ქართულად ანა რატიანმა თარგმნა. „საბლიტგამმა“ იგი ცალკე წიგნად გამოსცა.

ა. ხუნდაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსის ქალიშვილი

ვილიამ საროიანი—ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვე მწერალია. იგი დაიბადა 1908 წელს ფრენოში (კალიფორნია); მისი მშობლები სამშობლოდან გადახვეწილი სომხები იყვნენ.

საროიანის პირველი წიგნი გამოვიდა 1934 წელს. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან დღემდე მან გამოაქვეყნა მრავალი მოთხრობა, რამდენიმე პიესა, რომანები და ლექსები.

1939 წელს პიესისათვის „თქვენი სიცოცხლის საუკეთესო დრო“ მას მიენიჭა პულიცერისა და დრამატურგიის კრიტიკოსთა საზოგადოების პრემიები. მაგრამ ვ. საროიანმა პულიცერის პრემიის მიღებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ „კომერცია უფლებამოსილი არ არის მეურვეობას უწევდეს ხელოვნებასო“.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. საროიანი დიდი მანძილით არის დაშორებული თავის სამშობლოს, ის კარგად იცნობს თავისი მშობლიური ერის ლიტერატურას, ფოლკლორს, ზნეჩვეულებებს. ბევრი ამბავი, სომხური ზეპირსიტყვიერებიდან აღებული, მწერალს დამუშავებული აქვს ახალი მხატვრული ნაწარმოების სახით. ამის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს „მწყემსის ქალიშვილი“.

ვილიამ საროიანი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ღვთისაგან კურთხეული ბებიაჩემი ყველასაგან მუშაობას, შრომას მოითხოვდა. ერთხელ, როცა მაგიდას ვუსხედით, ასე დამარიგა:

— უნდა ისწავლო რაიმე ხელობა, უნდა იცოდე თიხისა ან ლითონისაგან, ხისა ან ქსოვილისაგან, ისეთი საგნების გაკეთება, რომლებიც გამოადგება ხალხს, რომლითაც ისარგებლებენ ადამიანები. არ ვარგა, როცა ახალგაზრდა კაცმა არ იცის რაიმე სასარგებლო ხელობა. აი, მაგალითად, ხისაგან მაგიდის, თიხისაგან ქოთნის დამზადება, ან ლითონისაგან ჩაიდანის ჩამოსხმა— ერთი სიტყვით რაიმეს გაკეთება.

და გაჯავრებით გადმომხედა.

— მე ვიცი,—განაგრძო მან,—რომ შენ მწერლად ითვლები. თითქოს ეს მართლაც ასეა, რადგან იმდენ პაპიროსს ეწევი, რომ რადაც გინდა, იმად შეგიძლია იყო. შენი ბინა თამბაქოს სუნითაა გაჟღენთილი. მაგრამ შენ ვალდებული ხარ იცოდე, აგრეთვე, ისეთი სასარგებლო ნივთების დამზადებაც, რომელთა დანახვა, ხელის შეხება და მოხმარება შეიძლება.

—... ირანში,— ასე დაიწყო ბებიაჩემმა თავისი მოთხრობა,— ცხოვრობდა თურმე ერთი მეფე. ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელსაც როგორღაც მწყემსის ქალიშვილი შეუყვარებოდა. ერთხელ უფლისწული მისულა მამასთან და უთქვამს: «ოჰ, ჩემო მბრძანებელო, მე მიყვარს მწყემსის ქალიშვილი და მინდა მასზე დავიწიშნოო». მეფეს უპასუხნია: «დღეს მეფე მე ვარ, შენ კი ჩემი მემკვიდრე. როცა გარდავიცვლები, ტახტზე შენ უნდა ახვიდე—როგორ მოხდა, რომ მწყემსის ქალაშვილზე დანიშვნა გიფიქრია?». შვილს უთქვამს: «ოჰ, ჩემო მბრძანებელო, ვერაფერს გეტყვით. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მიყვარს ის ქალიშვილი და მინდა, სწორედ ის იყოს ჩემი დედოფალი».

მეფეს თავისი შვილის გამიჯნურება მწყემსის ქალიშვილზე ღვთის განგებად ჩაუთვლია, გამოუძახია ვეზირი და უბრძანებია: «წადი, ნახე მწყემსის ქალიშვილი, გადაეც ჩემი შვილის გამიჯნურების ამბავი და ცოლად შერთვის სურვილიო». მოციქული გამგზავრებულა, უნახია მწყემსის ქალიშვილი და მოუხსენებია: «უფლისწულმა შეგიყვარა და უნდა ცოლად შეგირთოსო». ქალიშვილს მოციქულისათვის უკითხია: «რა ხელობა იცის მეფის შვილმაო». «არაფერი—უთქვამს ვეზირს,—ის მეფის შვილია და რა ბედენაა მისთვის მუშაობაო». მაშინ ქალიშვილს

უარი განუცხადებია მეფის შვილის ცოლობაზე და შუამავლისათვის დაუბარებია: «მეფის შვილმა ჯერ რაიმე ხელობა ისწავლოსო». მოციქული დაბრუნებულა სასახლეში და მწყემსის ქალიშვილის ნათქვამი მეფისათვის უცნობებია. მეფეს დაუბარებია შვილი და უთქვამს: «მწყემსის ქალიშვილს შემოუთვლია — მეფის შვილმა რაიმე ხელობა ისწავლოსო. აბა, ისევ გინდა მისი ცოლად შერთვა?» უფლისწულს მიუღია მწყემსის ქალიშვილის წინადადება და მამისთვის უთქვამს: «მე ვისწავლი ჩალის ღეროებით ჭილოფების ქსოვასო». მართლაც, მეფის შვილს ძალიან მალე ჩალის ღეროებით, ჭრელ-ჭრელი, ნაყშიანი, მშვენიერი ორნამენტებით შემკული ჭილოფების ქსოვა დაუწყია. მოკლე დროში დაოსტატებულა უფლისწული ჭილოფების ქსოვაში. მოციქული ისევ წავიდა მწყემსის ქალიშვილთან და უთხრა; «აი ჭილოფები ეს უფლისწულის ხელით არის ნაქსოვიო». ქალიშვილი ახლა კი დათანხმებულა, მოციქულს გაჰყოლია სასახლეში და უფლისწულის ცოლი გამხდარა.



უფლისწული სახლში მისულა, დედოფლის წინაშე პირქვე დამხობილა და უთქვამს: «შენი წყალობით დავრჩი ცოცხალიო!»

ერთხელ, — განაგრძო ბებიამ, — უფლისწული თურმე ბაღდადის ქუჩებში სეირნობდა, ჩაიხანაში შესულა და მაგიდას მიჯდომია. ეს ჩაიხანა ქურდებისა და კაცისმკვლელების ხაფანგი ყოფილა. შეუპყრიათ უფლისწული და ერთ მაღალ კოშკში დაუმწყვდევიათ, სადაც დიდი ხანია იტანჯებოდა მრავალი პატიოსანი ადამიანი. «მე ლუკმა პურის შოვნა, — უთქვამს უფლისწულს ქურდებისა და კაცისმკვლელებისათვის, — ჩემი ხელობით შემიძლია. კარგად ვიცი ისეთი ჭილოფების ქსოვა რომ ბევრ ოქროს მომცემენო». ქურდებს მიუციათ მეფის შვილისათვის ჩალის ღეროები. სამ დღეში უფლისწულს სამი ჭილოფი გაუმზადებია და უთქვამს: «წაიღეთ ეს ჭილოფები ირანის მეფის სასახლეში. ყოველ ცალში მეფე 100 ოქროს მოგცემთოო». ბანდიტებს მიუღიათ რჩევა და ეს ჭილოფები ირანის მეფის სასახლეში მიუტანიათ. მამას ერთი შეხედვით უცვნია თავისი შვილის ხელით ნაქსოვი ჭილოფები და მაშინვე უჩვენებია თავისი რძლისათვის — მწყემსის ქალიშვილისათვის: «ეს ჭილოფები მოიტანეს ვიღაც უცნობებმა, უგზო-უკვლოდ დაკარგული ჩემი შვილის ხელით არის მოქსოვილიო». მწყემსის ქალიშვილს გულმოდგინედ გაუშინჯია ჭილოფები და ეშმაკურად დაკლაკნილ ნაყშებსა და ორნამენტებში ირანული ასოებით გამოყვანილი წერილი ამოუკითხავს. ბარათში ეწერა ის, რისი შეტყობინებაც სდომებია უფლისწულს მეფისათვის.

მეფემ, — განაგრძო ბებიამ, — თურმე მაშინვე დიდძალი ჯარი გაგზავნა. მეფის ნაზირ-ვეზირებმა დაანგრიეს ბანდიტების ბუდე, გაათავისუფლეს ტუსაღები და უვნებლად მოჰგვარეს უფლისწული მამასა და ღარიბი მწყემსის ქალიშვილს. როცა უფლისწული სასახლეში მისულა და თავის ცოლს შეხვედრია, მის წინაშე პირქვე დამხობილა, დედოფლისათვის ფეხები დაუკოცნია და უთქვამს: «ჩემო საყვარელო, შენი წყალობით დავრჩი ცოცხალიო!» მეფესაც, რასაკვირველია, შეუქია თავისი რძლის ჭკუა-გონება.

— აი, ახლა კი გაიგე, ალბათ, — ასე დაამთავრა ბებიამ თავისი მოთხრობა, — თუ რატომ არის საჭირო, რაიმე ხელობა ყოველმა ადამიანმა იცოდესო.

— კარგად გავიგე, — მივუგე მე, — და, როგორც კი ვიშოვი საკმაო თანხას, რომლითაც შემეძლება ხერხის, ჩაქუჩისა და ფიცრების ყიდვა, მე შევეცდები გამოვთალო უბრალო მაგიდა ან წიგნების თარო.

თარგმნა ა. დავითიანმა

# ასეც ხდება



**ვახტანგ გორგანელი**

ნახ. თ. სამსონაძისა

თითქოს და ვინმე მოსდევსო,
ტანზე ჩაიცვა უცებ,
გადაალაჯა წიგნებს და
ტახტზე გაფანტულ ფურცლებს.
დამშეულივით მივარდა
საუზმეს გაშლილს სუფთად,
პირიც კი არ დაიბანა,
ისე მიუჯდა სუფრას.



მერე აიღო ჩანთა და
ჩქარა გავარდა გარეთ,
ბავშვს სუფრა გულდაწყვეტილი
უკან მისძახის მწარედ:
„მაგიდა ისე დატოვე,
ზედ ბრუნავს თითქოს ბური,
რომ ჭამე — თავის ადგილზე
რატომ არ დასდე პური?
ძირს ნამცეცები დაჰყარე,
აღარ იკმარე ესეც,
შაქარდაყრილი ლამბაქი
დააყირავე გვერდზე;
ჭიქების იქით მიაგდე
კარაქწასმული დანა,
გია, მითხარი, საშაქრეს
ასე ტოვებენ განა?
ისე მოთხუპნე, შეხედე,
რას დაემსგავსა ჭიქა,

დამტკბარი ჩაის წვეთები
დაეცნენ აქა-იქა.
დედამ ხომ გითხრა: — სუყველა
რიგზე მიაწყე, შვილო,
და მერე ფრთხილად ზემოდან
გადააფარე ტილო.
შენ კი ადექი გვიან და
სულ აურიე სახლი,
ამ მაგიდაზე მგონია,
გადაუვლია ნახირს".
სუფრა რომ ამას ამბობდა,
ღია კარიდან ნელა,
ბზუილით შემოიპარა
ბუზთა ლაშქარი ხელად.
ერთმა ბუზმა თქვა: „შეხედეთ,
გაშლილი სუფრა დაგვხვდა".
ჯერ შაქარს პირი დაადო,
მერე კარაქზე დახტა.
მეორე ამბობს: „გაფრთხილდით,
როგორ ნამეტანს ბედავთ,
აქ რომ მოგვასწროს, ხომ იცით,
რას გვიზამს გიას დედა?!"
მესამემ ფრთა ფრთას შემოჰკრა,
გაგორდა შაქრის ფხვნილში:

„ფრთხილად! — მეხუთემ იყვირა, —
ეს სითამამე კმარა!"
ალბათ კიდევ ბევრს იტყოდნენ,
რომ იჭრიალა კარმა.
მოულოდნელი ხმაური
ბუზების ლაშქარს აშლის;
ზოგი კარაქში წაეფლო,
ზოგი ჩავარდა თაფლში.
ზოგი ჭაღს ამოეფარა,
ზოგი ქათქათა ფარდას...





„ასეთი მასპინძლობაო
მხოლოდ მინახავს ძილში".
მეოთხემ კვერი დაუკრა,
თან დაჰყურებდა ცერებს:
„როგორცა ვხედავ, ამ სახლში
ჩვენს მოდგმას პატივს სცემენ".

შემოდის დედა, კითხულობს:
„ბუზი აქ როგორ გაჩნდა?"
გულს უფრო შემოეყარა,
როცა დახედა სუფრას:
კარაქი, თაფლი, შაქარი,
შავად მოჩანდა სულმთლად.
კვლავ გასარეცხი შეიქნა
ბალიში, სუფრა, ფარდა,
და მაგიდაზე რაც იყო
გადასაყრელი გახდა.
სამუშაოდან მოსული
ჯავრობდა გიას დედა,
შინ დასვენების მაგიერ
ბუზებს კარგა ხანს სდევდა.

# წითელი კომუნარი

როლანდ ჩოჩიევი

ლენინგრადის ცენტრში დიდებულად გამოიყურება ვრცელი მოედანი. ეს მსოფლიოში ულამაზესი მოედანი „მარსის მინდვრის“ სახელს ატარებს...

თებერვლის რევოლუციისა და დიდი ოქტომბრის მქუხარე დღეებში მარსის მოედანზე გრანდიოზული მანიფესტაციები და რევოლუციური პეტროგრადის დემონსტრაციები იმართებოდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამარჯვებულმა ხალხმა მარსის მოედანი რევოლუციურ დღესასწაულთა ადგილად გადააქცია.

მოედანზე აღმართულია წითელი გრანიტის კედლები; ამ კედლებს შორის დაკრძალულნი არიან ორი რევოლუციის მებრძოლები, თავდადებული კომუნისტები, რომლებიც გმირულად დაეცნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სასაფლაოს შუაგულში, როგორც სიმბოლო გმირთა დაუვიწყარი დიდებისა, მუდმივი კოცონი ანთია.

1922 წლის 25 აპრილს პეტროგრადს ხმა მოედო — დაიღუპაო კოტე მღებროვი...

პეტროგრადის მუშათა საბჭოების რჩევით რევოლუციის მომღერლის დასაფლავება მარსის მოედანზე, მებრძოლთა სასაფლაოზე გადაწყვიტეს. დასაფლავების დღეს — 25 აპრილს „პეტროგრადსკაია პრავდა“ კოტეს შესახებ წერდა:

„მის წინაშე ისევე უნდა დავხაროთ თავი, ვით მთელი რევოლუციური ახალგაზრდობის წინაშე, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო და ახლაც იღებს რევოლუციის საქმისათვის“. იმ დღეს მარსის მოედანზე მუშებმა, წითელარმიელებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა უკანასკნელად სცეს პატივი თავიანთ საყვარელ კოტეს, ცხრა წლის მებრძოლ აგიტატორს.

კოტე მღებროვი 1913 წელს, პეტერბურგის ახლოს, ალექსანდრე აბელის ძე მღებრიშვილის ოჯახში დაიბადა. ალექსანდრემ 1918 წელს პეტროგრადის რევოლუციურ თეატრში



დაიწყო მუშაობა. პატარა კოტე ხუთი წლისაც არ იყო, როდესაც ამ თეატრში კომუნარი ბიჭის როლი მიანდეს. ეს სპექტაკლი ძლიერ უყვარდათ მუშებს და პატარა კოტეც ძალზე ცდილობდა ნამდვილ რევოლუციონერს დამსგავსებოდა.

...მაყურებელი დაძაბული შესცქერის სცენას. აჯანყებულმა პარიზელებმა მარცხი განიცადეს. დაპატიმრებული კომუნარები დასახვრეტად მიჰყავთ. მათ შორის პატარა ბიჭუნაც არის, მას ხელში ოჯახის ერთადერთი განძი — მამისეული საათი უჭირავს. იგი ნებას ითხოვს სახლში მიიტანოს საათი, თან პირობას იძლევა, რომ უკან დაბრუნდება. დამსჯელებს ჯერ არ სჯერათ პატარა ბიჭისა, მაგრამ მაინც უშვებენ მას. ბიჭის წასვლის შემდეგ ჯალათები ტყვეებს ხოცავენ. ბიჭი ასრულებს პირობას, უკან ბრუნდება, დროშას აღმართავს და დახოცილთა შორის დგება. პატარა გმირის საქციელი აღტაცებას ჰგვრის მაყურებელს.

1919 წელს კოტე უფროს მსახიობებთან ერთად ფრონტზე, პეტროგრადელ ჯარისკაცებთან მიდის და იქ, სანგრებში, მისი წკრიალა ხმა აღაფრთოვანებს მებრძოლებს.

დამთავრდა ბრძოლები. მუშები ფაბრიკებსა და ქარხნებს დაუბრუნდნენ. პატარა კომუნარმა ახლა ქალაქში დაიწყო გამოსვლა კონცერტებსა და მიტინგებზე. იგი პეტროგრადელთა საყვარელი ადამიანი გახდა.

კოტე მებრძოლ მსახიობებთან იზრდებოდა და სახლში იშვიათად იყო ხოლმე, მაგრამ, როგორც კი თავის ეზოში შევიდოდა, დიდი გამოცოცხლება შეჰქონდა იქ. მას ძალიან უყვარდა „წითლები და თეთრების“ თამაში. წითლები მუშების შვილები იყვნენ, თეთრები – ვაჭრებისა და სხვა შეძლებულთა შვილები. თამაში ხშირად ნამდვილი შეტაკებით მთავრდებოდა ხოლმე, რადგან „თეთრმა“ ბავშვებმა კარგად იცოდნენ, რომ კოტე მართლაც ნამდვილი წითელი კომუნარი იყო და სძაგდათ იგი.

1920 წლის აპრილში კოტე ამერიკელი პოეტის — უიტმენის პიესაში გამოვიდა. ნამდვილ მოწოდებად გაისმა მის მიერ სცენიდან თქმული ლექსი.

ხუთი დღის შემდეგ კოტე ტრამვაით მიდიოდა. სახლიდან წამოღებული მთელი პური ხელში ეჭირა და გაჭირვებული ამხანაგისათვის მიჰქონდა. ქალაქში მას ბევრი იცნობდა, იცნობდნენ რევოლუციის მტრებიც. ერთი მათგანი მოულოდნელად მივარდა კოტეს და ტრამვაიდან გადმოაგდო იგი. როდესაც მშობლებმა საავადმყოფოში მიაკითხეს, პატარა კომუნარი ცოცხალი აღარ დახვდათ.

კოტე პიონერი არ ყოფილა. მისი ტოლები მხოლოდ იმ ხანად ერთიანდებოდნენ პიონერულ ორგანიზაციაში. კოტეს დაკრძალვის დღეს პეტროგრადის კომკავშირელებმა წითელი დროშა გამოიტანეს, რომელიც პატარა მსახიობს უკანასკნელად ეჭირა სცენაზე. დროშას ეწერა: „ოქტომბრის მომღერალს, ნორჩ ლენინელს — კოტე მღებროვს“.

მარსის მოედანზე გამოჩენილ რევოლუციონერებთან: ურიცკისთან, ვოლოდარსკისთან და რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ სხვა მებრძოლებთან ერთად, განისვენებს პატარა ქართველი, წითელი კომუნარი. გრანიტის ქვაზე ამოკვეთილია სიტყვები:

„ნორჩი მსახიობი და აგიტატორი კოტე მღებროვი — ჩეკანი“.

კოტე რევოლუციისათვის ბრძოლაში დაეცა. დღეს კი მისი ხნის პიონერები სწავლით, შრომითა და კომუნისტური საქმისადმი თავდადებით იცავენ მას, რასაც შესწირა თავი პატარა კოტემ.



# მოაგარაკე პიონერებთან

კალე ბობოხიძე

მოველ, ბასმაროს ქარი მეკვეთა,
სუსხი მეგონა, მიწყო ალერსი...
პიონერების იყო შეკრება,
მთხოვეს: გვითხარო პატარა ლექსი...

შემომატარეს მთები ცელქებმა,
ხევში დაეშვნენ, როგორც შურდული;
მსურდა ლექსებით მათი შექება,
ტყე ბანს გვძლევდა გადაბურდული.

მზე დაგვცქეროდა სხივთა ციმციმით,
მივაბიჯებდით სერზე ლაღადა;
გადავივიწყე წლების სიმძიმე,
თითქოს მეწვია ყრმობა ახლადა.



# სიზანტე

დავით ცაგარელი

იჯდა ყინულზე სელაპი,
თავის სიზანტეს ჰყიდიდა.
— სთქვი, რა ღირს შენი სიზანტე?—
მასთან ირემი მივიდა.
მთელ დღეს ივაჭრეს და ბოლოს
უთხრა სელაპმა ირემს:
ასი მანეთი მომეცი—
დაგჯერდებიო მცირეს.
ყაბულს გაუხდა ირემი—
სწრაფი, ცქვიტი და მარდი,
ადგა, იყიდა სიზანტე
და უმალ გახდა ზანტი.
მაგრამ ყელში სწვდა შიმშილი,
რა ჰქნას ირემმა ახლა:
დაზარდა წასვლა ჭალაში,
წყაროზე კისრის დახრა;
გზის დაეზარა გაკვალვა,
როცა დათოვა მთაში;
გახდა, დამჭლევდა საბრალო
და ფიქრს მიეცა მაშინ...

დიდ ხანს დარდობდა ირემი,
თავის შეცდომას სწუხდა,
ბოლოს ბეგემოტს სიზანტე,
ადგა და მისცა მუქთად...
მას შემდეგ დაჰქრის ირემი,
ცურავს სელაპიც მარდი,
ხოლო მორევში ჩამდგარი,
სთვლემს ბეგემოტი ზანტი.



რომ ხოკეის მოთამაშე მთელი მატჩის განმავლობაში 15 კილომეტრ მანძილს გადის; საშუალო სიჩქარე საათში 14—15 კილომეტრია, მაქსიმალური კი—48.

რომ დღეს ქიმიისათვის ცნობილ ნივთიერებათა ჩამოთვლაც კი წიგნის ათასობით ფურცელს დაიჭერდა. ამაში შევა ასი ქიმიური ელემენტი, მისი 1.100 იზოტოპი, სამი მილიონი ბუნებრივი და სინთეზური შენაერთი და სხვ.

რომ ავტომანქანათა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. 1957 წლისათვის მსოფლიოში 85 მილიონი მანქანა იყო, ხოლო გასულ წელს კი 107 მილიონი, აქედან 82 მილიონი—მსუბუქი ავტომანქანებია. გამოანგარიშებულია, რომ მანქანათა ეს რაოდენობა ერთდროულად მილიარდ ადამიანს გადაიყვანს.

რომ ძველ ეგვიპტეში წყალშერეულ რძეს სვამდნენ ხოლმე. სუფთა რძე ფუფუნებად ითვლებოდა, რადგან ძროხები ძირითადად გამწევ ძალად ჰყავდათ გამოყენებული.

რომ ყველაზე დიდი ყვავილი მსოფლიოში ერთ-ერთ ინდურ პალმას აქვს. ეს ყვავილი ასი ათასი ცალკეული პატარა ყვავილისაგან შესდგება და 12 მეტრი დიამეტრი აქვს.

რომ ყველაზე კარგ მხტომელებად ცხოველებში ითვლებიან: კურდღელი—სიგრძეზე 3 მეტრი; კენგურუ—სიგრძეზე 10 მეტრი; ციყვი—12-16 მეტრი; ვეფხვი—9-10; ირემი—12 მეტრი.

რომ ქოლგისებური ჯიშის პალმის ერთი ფოთლის ქვეშ შეიძლება ოცი ადამიანი მოთავსდეს.

რომ 30 წლის ადამიანს იმდენი მანძილი აქვს ფეხით გავლილი, რომ ორჯერ შემოუვლიდა დედამიწას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## აცრის პირველი გამომგონებელი

ერთი განთქმული ბერძენი ექიმის გამოკვლევით, აცრის პირველ გამომგონებლად უნდა ჩაითვალოს მითრიდატ პონტოელი, რომელსაც ეშინოდა, რომ მტრებს არ მოეწამლათ, და ამიტომ ყოველდღე იღებდა რომელიმე შხამს ცოტაოდენი დოზით, მერე თანდათან უმატებდა და, ამგვარად, მისი სხეული შხამს ეჩვეოდა. იგი ამავე დროს სვამდა იმ ცხოველთა სისხლს, რომელნიც გველებს სჭამდნენ.

## თევზის მიერ გადარჩენილი გემი

1870 წელს ნოემბერში ერთი ხომალდი ბალტიის ზღვიდან ინგლისში მიდიოდა. გზაში ხომალდს ძირი გაუფუჭდა და მასში წყალმა დენა იწყო. წყლის ნაკადი ვერაფრით ვერ შეაჩერეს. ყველამ გადაწყვიტა, რომ ხომალდს აღარაფერი უშველიდა. უეცრად გემში წყლის დენა შეწყდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი ხომალდი ნავსადგურს მიადგა.

კაპიტანმა გასინჯა გემის ფსკერი და ნახა, რომ ნახვრეტში დიდი თევზი გაჭედილიყო და წყალიც ამიტომ ველარ შესულიყო გემში.



## კიბორჩხალას ძალა

კიბორჩხალა ისეთი ღონიერია, რომ ერთი მარწუხით შეუძლია ასწიოს ორი კილოგრამი ტვირთი, ესე იგი თავის საკუთარ წონაზე ოცდაათჯერ მეტი.

## პირველი პარაშუტისტები

პირველი ადამიანი, რომელიც დიდი სიმაღლიდან პარაშუტით გადმოეშვა, ფრანგი ფიზიკოსი ლენორმანი იყო. 1783 წელს იგი პირველად ორი პარაშუტით ხელში მაღალი ხის კენწეროდან გადმოხტა, მეორედ კი მან უკვე მონსელის ობსერვატორიის კოშკიდან სცადა ბედი.

1799 წელს გარნერენი საჰაერო ბურთით 1000 მეტრ სიმაღლეზე აფრინდა ჰაერში. იქ თოკი გადაჭრა და ტყვიასავით წამოვიდა ქვემოთ. ცოტა ხნის შემდეგ კი ვარდნა შენელდა და დედამიწაზე უვნებლად დაეშვა.

როცა გარნერენი ძირს დაეშვა, დაინახეს რომ კალათზე, რომელშიც იგი იჯდა, ქოლგა იყო მიბმული, რომლის დიამეტრი 5 მეტრს აღწევდა.

დასაკეცი პარაშუტი პირველი მსოფლიო ომის დროს გამოიგონეს. მას საფუძვლად გარნერენის «ქოლგა» დაედო.

## კ ა ც-თ ე ვ ზ ა

მეცამეტე საუკუნეში კუნძულ სიცილიაზე ცხოვრობდა ერთი გლეხი, პესცე კოლა, რომელსაც მეტსახელად კაც-თევზას ეძახდნენ. პესცე კოლა ზურგზე გადაიკიდებდა ტყავის ჩანთას და ფოსტა ცურვით მიჰქონდა 50—60 კილომეტრით დაშორებულ კუნძულებზე. კაც-თევზა დღისითაც და ღამითაც ცურავდა. იგი, თურმე, ქარიშხალსაც კი არ ერიდებოდა.

## მწერს ძეგლი აუგეს

ჩვეულებრივ შეჩვეული ვართ აზრს, რომ ძეგლს ადამიანის განსაკუთრებული დამსახურების გამო აგებენ ხოლმე. მაგრამ, ხანდახან, მწერებსაც არ ჰქონიათ ადამიანებზე ნაკლები დამსახურება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ენტერპრაიზში, დგას მწერის—«ბამბის გრძელცხვირას» ქანდაკება, ზედ აწერია: «დიდი პატივისცემის ნიშნად ალაბამის შტატის, ქალაქ ენტერპრაიზის მცხოვრებლებისაგან».

საოცარია, არა?

«ბამბის გრძელცხვირა» საყოველთაოდ ცნობილი მავნებელი მწერია. უცებ კი ძეგლი, და ისიც ასეთი მრავლისმთქმელი წარწერით!..

საქმე კი აი, რაშია: ალაბამის შტატის ფერმერები საუკუნეთა განმავლობაში მისდევდნენ ბამბის მოყვანას. იგი მათი არსებობის ძირითადი წყარო იყო, მაგრამ 1915 წელს ბამბის პლანტაციებს მექსიკიდან შემოტანილი მტერი შემოესია, ეს «ბამბის გრძელცხვირა» იყო. გამოჩენის პირველ წელსვე ამ მწერმა თითქმის მთლად მოსპო პლანტაციები. ქიმიური საშუალებები უძლურნი აღმოჩნდნენ—მწერი თავის მავნე საქმეს შეუფერხებლად აგრძელებდა. რაღა ექნათ? ფერმერები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ მებამბეობა და მესაქონლეობასა და მებოსტნეობაში ეცადათ ბედი.

მეურნეობის ეს დარგები იმდენად მომგებიანი გამოდგა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ბამბა აღარავის ახსოვდა.

აი, მაშინ გადაწყვიტეს ძეგლი აეგოთ მწერისათვის, რომელმაც ასეთი სარფიანი მეურნეობისათვის მოაკიდებინა ხელი ფერმერებს.

## თევზი—გამოცანა

1913 წლის თებერვლის ერთ ღრუბლიან დღეს, პატარა გემი «სამოა», კაპიტან ჩარლზ ტომპსონის მეთაურობით, ნელა მიცურავდა ფრარილაკისის კუნძულების გასწვრივ. უეცრად გემბანიდან ზღვაში უზარმაზარი თევზი შენიშნეს.

ბარჯებით შეიარაღებული კაპიტანი ორ მეზღვაურთან ერთად ნავში ჩაჯდა და უცხო ცხოველისკენ გაემართა.

ბარჯი გვერდში ჩაესო ცხოველს. იმწამსვე ნავი საშინელი სისწრაფით გაქანდა წინ—თევზმა თან გაიტაცა სამი ადამიანი. ასე დაიწყო მსოფლიოში ერთ-ერთი უცნაური მოგზაურობა თევზზე გამობმული ნავით. შეშინებული მეზღვაურები ემუდარებოდნენ კაპიტანს—გაეჭრა ბაგირი, მაგრამ კაპიტანს, თავდადებულ მონადირესა და გულად ადამიანს, არ სურდა ხელიდან გაეშვა იშვიათი ნადავლი. ცალი ხელით ნავს ჩაჭიდებულს, მეორე ხელში ნაჯახი ჰქონდა მომარჯვებული და, თუ თევზი ჩაყვინთვას მოისურვებდა, მზად იყო იმწამსვე გადაეჭრა ბაგირი, მაგრამ საბედნიეროდ თევზს ან არ სურდა, ან არ შეეძლო წყალში ღრმად ჩასვლა.

ეს საოცარი დევნა 39 საათს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცხოველი დაუძლურდა, შეჩერდა და იგი გემთან მიაცურეს.

ხანგრძლივი დევნისაგან კაპიტანი და მისი ორი თანამგზავრი ისე იყვნენ დაღლილნი და დამშეულნი, რომ გემზე ძლივს აიყვანეს. მაგრამ მონადირეებს დასვენება არ ეწერათ. კაიუტაში მეზღვაური შემოვარდა და ყვირილი მორთო: თევზი გაცოცხლდა და ნავი ნაფლეთებად აქციაო. მეტი გზა აღარ იყო, თევზს ტყვია დაუშინეს. ამის შემდეგაც კი, ხუთი დღე-ღამის განმავლობაში, იგი თავგანწირვით იბრძოდა, არ ნებდებოდა ადამიანებს.

კაპიტან ტომპსონის ნადავლმა დიდი სენსაცია და დავა გამოიწვია მეცნიერებს შორის.

თევზი 12 ტონას იწონიდა, სიგრძით 14 მეტრი იყო, ხოლო ღვიძლი 700 კილოგრამი წონისა ჰქონდა.



დადასტურდა, რომ ეს მართლაც თევზი იყო, მაგრამ სახელდობრ რომელი, ამის გადაჭრა შეუძლებელი გახდა.

მას შემდეგ 45 წელი გავიდა და, დღემდე ეს უცნაური არსება ადამიანის მიერ ნახულ ერთადერთ ეგზემპლარად რჩება. საიდუმლო ჯერაც ამოუხსნელია.



## ტრამვაისა და რკინიგზის რელსები

ბევრ თქვენთაგანს შეუმჩნევია ალბათ, რომ ტრამვაის რელსები ერთმანეთზე მჭიდროდ არის მიდგმული. რკინიგზის რელსები კი — არა! რატომ არის ასე?

## შაქარი და ღრუბელა



შაქრის ნატეხი რომ დასველებულ ღრუბელაზე დავდოთ, იგი მაშინვე დადნება, მაგრამ დასველებულ შაქარს რომ მშრალი ღრუბელა დაადოთ, ღრუბელა მშრალი დარჩება. რატომ?

## გაართეთ პატარები

ელექტრონათურის ან ლამპის შუქზე გააკეთეთ ეს ფიგურები.



## გამოცანა-ხუმრობა

მეათე საუკუნიდან მეოცე საუკუნემდე დაასახელეთ ყველა წელი, რომელიც იმ შემთხვევაშიც ერთნაირად წაიკითხება, თუ დაწერილი ქაღალდი უკუღმა გიდევთ.

## სახუმარო გამოცანები

1. რომელი ავადმყოფობაა, რომლითაც დედამიწაზე ჯერ არავინ დაავადებულა?
2. წინ რომ მიდიხარ, უკან იხევს, უკან რომ იხევ, მოგდევს.
3. ელიან, როცა მოვა, ემალებიან.
4. ავტომანქანა რომ მიდის, რომელი თვალი არ ბრუნავს?
5. რომელი დალაქია მსოფლიოში ყველაზე პოპულარული?
6. რა ლაპარაკობს ყველა ენაზე?

## ჩაიდნები

ორივე ეს არაჩვეულებრივი ჩაიდანი წყლით არის სავსე. როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო მალე ადუღდება?



## ლაბირინთი

პატარა კურდღლებმა თავიანთი ბიძა, მოხუცი კურდღელი სტუმრად მიიწვიეს. მიუახლოვდა იგი ტყეს და შეჩერდა. როგორ გააგრძელოს გზა? ტყეში ხომ მხეცები და მტაცებელი ფრინველები ცხოვრობენ, თან მონადირეც საშიშია. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გზა მაინც გამოძებნა, გვერდი აუარა მონადირეს, მხეცებს, მტაცებელ ფრინველებს და დანიშნულ ადგილზე მშვიდობით მივიდა.

აბა, ახლა თქვენ მოძებნეთ ის ბილიკი, რომელმაც კურდღელი ხიფათს გადაარჩინა.



## პასუხები

**ლოკოკინა.** ლოკოკინა ხის კენწეროს 16 დღეში მიაღწევს.

**რა უფრო თბილია.** ბუმბულის ქსოვილი შალისაზე უფრო თბილია, რადგან ბუმბულის თხელ ბოჭკოებს შორის ბევრი ჰაერია, ჰაერი კი, როგორც ცნობილია, სითბოს ცუდი გამტარია.

**საით მიდის ტრამვაი.** ტრამვაი უკან მიდის. (ჩრდილის მიხედვით).

**ჯიუტი მგზავრი.** თვითმფრინავი მაღლა რომ ავიდა, ატმოსფერულმა წნევამ იკლო, ავტოკალამში კი, რომელიც ხმელეთზე იყო დამუხტული, მელნის წნევა ძველი დარჩა და მელანიც ამიტომ გადმოიღვარა.

**ეგებ თქვენ მიხვდეთ.** მინა არ ატარებს ულტრაიისფერ სხივებს, ამიტომაც ვერ გაშავდებოდა ფანჯარასთან მჯდომი ბიჭი.

**თავსატეხი.** ჭიქის აღებისას ასანთის ღერი რომ არ ჩამოვარდეს, ამისათვის საჭიროა ასანთის ღერი აანთოთ. დაწვისას ღერები თავებით ერთიმეორეს მიაწვება და ჭიქის აღებისას აღარ ჩამოვარდება.

**შარადა.** ვერხვი.

**კუს გზა**



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ" детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 8, 1959. Тбилиси. пр. Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 03932, ტირ. 11 000. ფორმათა რაოდ. $4^1/_2$, ხელმოწერ. დასაბ. 20/VII-59 წ. სტამბის შეკვ. № 900. გამომც. შეკვ. № 320. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი"

# იუმორი



— დღეს ხუთიანი მივიღე და მამა-
ჩემმა ხუთი მანეთი მაჩუქა.
— მე ყოველდღე თუმანს მაძლევენ,
მაგრამ სამიანსაც ვერ ვღებულობ.

თემა ე. კვიტაიშვილისა



თემა ა. თაყაიშვილისა



ნახ. ე. ამზოკაძისა

თემა ა. თაყაიშვილისა

6158/180
ეროვნული ბიბლიოთეკა

